



საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

ქ. სიღნაღისა და ქ. წნორის წყალარინების სისტემისა და ჩამდინარე წყლების

გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა-ექსპლუატაცია

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

მომზადებულია: შპს „მუნიციპალპროექტის“ მიერ

დირექტორი: ნუგზარ არდაზიშვილი

ხელმოწერა:

ქ. თბილისი, 2022 წელი

სარჩევი

1.	შესავალი	7
1.1	გზმ-ის ანგარიშის მომზადების საფუძველი	8
2.	საკანონმდებლო ჩარჩო დოკუმენტები.....	9
2.1	საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა.....	9
2.2	საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტები	10
2.3	საერთაშორისო ხელშეკრულებები.....	12
3.	პროექტის საჭიროების დასაბუთება.....	13
4.	წყალარინების არსებული მდგომარეობა.....	13
5.	ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ.....	14
5.1	საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა.....	14
5.2	საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის პროექტის აღწერა, წყალარინების ქსელის დახასიათება	20
5.3	მოსახლეობის დინამიკა და ხარჯების გაანგარიშება.....	27
5.4	მთავარი სატუმბი სადგური	34
5.5	მიმღები კამერა.....	34
5.6	წინასწარი წმენდის კომბინირებული მოწყობილობები	34
5.7	ქ. სიღნაღისა და წნორის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის (WWTP) ზოგადი ტექნოლოგიური პროცესების დახასიათება. რეაქტორისა და გამთანაბრებლების გაანგარიშება.....	36
5.8	ფოსფორის მოცილება.....	39
5.9	კორიდორული ტიპის აერირებული შემრევი (სტატიკური).....	39
5.10	ვერტიკალური სალექარი (თხელკედლიანი ჩანართით)	40
5.11	ლამის გაუწყლოვნება (ფოსფორის მოცილება).....	41
5.12	ულტრაბგერითი დასხივება	41
5.13	სალამე ფარდული	41
5.14	ბიოტექნოლოგიის თეორიული საფუძვლები - ბიოლოგიური პროცესის აღწერა	41
5.15	ჩამდინარე წყლის ბიოლოგიური წმენდის პროცესის აღწერა	47
5.16	«ISBS» პროცესის მართვა.....	48
6.	ჩამდინარე წყლების ჩაშვება	53
7.	პროექტის ალტერნატივების განხილვა.....	54
7.1	არაქმედების ალტერნატივა.....	54
7.2	გამწმენდი ნაგებობის განთავსების ალტერნატივები.....	55
7.3	ტექნოლოგიური ალტერნატივები	57
8.	მისასვლელი გზები	59
9.	სამშენებლო სამუშაოების აღწერა.....	60
10.	სამშენებლო ბანაკი	60
11.	მშენებლობის პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკის ჩამონათვალი	62

12. ნიადაგის ნაყოფიერი ფენისა და ფუჭი ქანების მოხსნა-დასაწყობება.....	62
13. გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმებული ადამიანების რაოდენობა და სამუშაო გრაფიკი	63
14. წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლები	64
14.1 მშენებლობის ეტაპი	64
14.2 ექსპლუატაციის ეტაპი.....	66
15. ზოგადი ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ..	66
15.1 გარემოს არსებული მდგომარეობა	66
15.2 მცენარეული საფარი	67
15.3 ცხოველთა სამყარო	68
15.4 სეისმურობა და ტექტონიკა	79
15.5 კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები	80
15.6 საკვლევი ტერიტორიის ზოგადი გეოლოგიური, ტექტონიკური და ჰიდროგეოლოგიური პირობები	85
15.6.1 რელიეფი (გეომორფოლოგია)	85
15.6.2 ჰიდროგეოლოგიური პირობები	86
15.6.3 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე, საკვლევი უბნის საინჟინრო გეოლოგიური კვლევები, საშიში გეოლოგიური პირობები	89
15.7 მდ. ალაზნის მოკლე ჰიდროლოგიული დახასიათება	97
15.7.1 საშუალო წლიური ხარჯები	98
15.7.2 წყლის მაქსიმალური ხარჯები	100
15.7.3 წყლის მინიმალური ხარჯები	102
15.7.4 წყლის მაქსიმალური და მინიმალური დონეები.....	103
16. ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები.....	108
16.1 ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტებზე	108
16.2 ზემოქმედება მიწისქვეშა გრუნტის წყლებზე	109
16.3 ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.....	110
16.3.1 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში, მიღებული შედეგები და ანალიზი.....	123
16.3.2 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები	125
16.4 ხმაურის გავრცელება და მოსალოდნელი ზემოქმედება	126
16.5 საკანალიზაციო სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება და საშიში გეოდინამიკური პროცესები	133
16.6 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე.....	133
16.7 ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება და ზემოქმედების შეფასება გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე.....	136
16.7.1 ზემოქმედება ფლორაზე.....	136
16.7.2 ზემოქმედება ცხოველთა სამყაროზე.....	137

16.8 ზემოქმედება მდ. ალაზნის იხტიოფაუნაზე	138
16.9 ნარჩენების მართვის საკითხები, ნარჩენების მართვის გეგმა, ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება	139
16.9.1 მოსალოდნელი ნარჩენების სახეები და მისი წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება	139
16.9.2 შემარბილებელი ღონისძიებები.....	141
16.10 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე.....	142
16.11 ზემოქმედება ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიური მემკვიდრეობის ძეგლებზე	142
16.12 ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილება და მოსალოდნელი ზემოქმედება	142
16.13.1 სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება.....	143
16.13.2 ზემოქმედება მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე	143
16.13.3 ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები.....	143
16.13.4 ზემოქმედება დასაქმებაზე და ეკონომიკურ საქმიანობაზე.....	144
16.13.5 ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე	144
16.13.6 გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული დადებითი ზემოქმედებები სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.....	145
17. ქ. სიღნაღისა და ქ. წნორის ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი საორიენტაციო ნარჩენების მართვის გეგმა	146
18. გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.....	159
18.1 ზოგადი მიმოხილვა.....	159
19. მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები	159
19.1 შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა - მშენებლობის ეტაპი.....	160
19.2 შემარბილებელი ღონისძიებები - ექსპლუატაციის ეტაპი.....	174
20. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა.....	179
20.1 მონიტორინგის გეგმა - მშენებლობის ეტაპი	180
20.2 მონიტორინგის გეგმა - ექსპლუატაციის ეტაპი	181
21. შესაძლო ავარიული სიტუაციები.....	184
22. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა	185
22.1 ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მიზნები და ამოცანები.....	185
22.2 პროექტის განხორციელების დროს მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების სახეები	186
22.3 ხანძარი/აფეთქება	186
22.4 საშიში ნივთიერებების მ.შ. ნავთობპროდუქტების ზალპური დაღვრა.....	187
22.5 გამწმენდი ნაგებობის დაზიანება და საკანალიზაციო წყლების ავარიული ჩაშვება....	187
22.6 პერსონალის ტრავმები და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები	188

22.7 სატრანსპორტო შემთხვევები	188
22.8 ბუნებრივი ხასიათის ავარიული სიტუაციები	188
22.9 ავარიული სიტუაციების წარმოქმნის ძირითადი პრევენციული ღონისძიებები	189
22.10 ინციდენტის სავარაუდო მასშტაბები	191
22.11 ავარიულ სიტუაციებზე რეაგირება.....	191
22.11.1 რეაგირება ხანძრის შემთხვევაში	191
22.11.2 რეაგირება საშიში ნივთიერებების დაღვრის შემთხვევაში	193
23. გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრა.....	196
23.1 გამწმენდი ნაგებობის მოკლევადიანი გაჩერება ან რემონტი	196
23.2 გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტა ან კონსერვაცია	196
23.3 გამწმენდი ნაგებობის ლიკვიდაცია	197
24. გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება.....	197
25. სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება.....	198
26. ინფორმაცია გზშ-ის ანგარიშში განხილული სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესახებ	200
27. გზშ-ის პროცესში შემუშავებული დასკვნები და საქმიანობის განხორციელების პროცესში გასატარებელი ძირითადი გარემოსდაცვითი ღონისძიებები/ძირითადი რეკომენდაციები.....	207
27.1 დასკვნები.....	209
28. გამოყენებული ლიტერატურა.....	211
29. დანართი 1 - მუნიციპალიტეტის წერილი	215
30. დანართი 2 - მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან	216
31. დანართი 3 - საწარმოს გენ. გეგმა გაფრქვევის წყაროს ჩვენებით	218
32. დანართი 5 - გაბნევის ანგარიშის შედეგები ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობიდან, წარმადობით- 1850 მ ³ დლ/დ.	220

ინფორმაცია საკონსულტაციო კომპანიისა და იმ კონსულტანტების შესახებ, რომლებიც მონაწილეობდნენ გზმ-ის ანგარიშის მომზადებაში

გზმ ანგარიშის მომამზადებელი კომპანია	შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრი“	
საიდენტიფიკაციო კოდი	405390973	
დირექტორი	თინათინ ჟიჟიაშვილი	
მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია	თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ზალდასტანიშვილის ქ.#16 577380113; 593 044 044	
ექსპერტები, რომლებიც მონაწილეობდნენ გზმ ანგარიშის მომზადებაში	პოზიცია	ხელმოწერა
თინათინ ჟიჟიაშვილი	გარემოს დაცვის სპეციალისტი	
ნუგზარ არდაზიშვილი	წყლისა და ჩამდინარე წყლების ნაგებობების სპეციალისტი, ტექნოლოგიური პროცესი	
გიული დარციმელია	ატმოსფერული ჰაერის საკითხების სპეციალისტი	
გიორგი იანქოშვილი	ზოოლოგი	

1. შესავალი

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ წარმოადგენს სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საზოგადოებას, რომელიც შეიქმნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 11 იანვრის #1-1/13 ბრძანების საფუძველზე. კომპანია წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელით მომსახურებას ახორციელებს მთელი საქართველოს მასშტაბით, ურბანული ტიპის დასახლებებისთვის ქ. თბილისის, ქ. მცხეთის, ქ. რუსთავისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: წყლის მოპოვება, დამუშავება და მიწოდება აბონენტებისათვის. ასევე, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის პროექტირება, მშენებლობა, მონტაჟი, შეკეთება და ექსპლუატაცია.

პროექტი ითვალისწინებს ქალაქების სიღნაღისა და წნორის წყალარინების ქსელებისა და ჩამდინარე წყლების საერთო გამწმენდი ნაგებობების მოწყობას. ამასთან აღსანიშნავია, რომ პერსპექტივაში, მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია აღნიშნულ გამწმენდს დაემატოს დამატებითი უჯრა, რომელიც უზრუნველყოფს ქ. სიღნაღისა და ქ. წნორის გარდა მიმდებარე 17 სოფლის ჩამდინარე წყლების მიღებას და გაწმენდას (2050 წლისთვის).

პროექტის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ქ. სიღნაღისა და ქ. წნორის ჩამდინარე წყლების არსებული მდგომარეობა, რის შედეგადაც თავიდან იქნება აცილებული ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, ასევე ნიადაგის დაბინძურება. გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის სანიტარული მდგომარეობა. პროექტის განხორციელება დადებით ზეგავლენას იქონიებს ტურისტული თვალსაზრისით.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-9 პუნქტის, 9.6 ქვეპუნქტით, ასევე მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, ამავე კოდექსის მე-7 მუხლის, მე-13 პუნქტის შესაბამისად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სკრინინგის პროცედურის გარეშე, სკოპინგის განცხადების მომზადების შესახებ.

სკოპინგის დასკვნის მიღების შემდგომ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, მომზადებულ იქნა გზმ-ის ანგარიში, ასევე ზედაპირულ წყლებში ჩაშვებულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი ჩაშვების ერთი წერტილისათვის (მდ. ალაზანი) და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი (ზდგ).

ცნობები საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ მოცემულია ცხრილში N 1.

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
კომპანიის იურიდიული მისამართი	ანნა პოლიტკოვსკაიას 5, ვაკის რაიონი, ქ. თბილისი, საქართველო
კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი	412670097
კომპანიის ხელმძღვანელი	ალექსანდრე თევდორაძე
დაგეგმილი საქმიანობის დასახელება	ქ. სიღნაღისა და ქ. წნორის წყალარინების სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა-ექსპლუატაცია
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფ. საქობო
სკოპინგის ანგარიშის მომზადებელი კომპანია	შპს „მუნიციპალპროექტი“
დირექტორი	ნუგზარ არდაზიშვილი
მისამართი	ქ. თბილისი, იოსელიანის ქ. №37

1.1 გზშ-ის ანგარიშის მომზადების საფუძველი

ზემოაღნიშნული საქმიანობა განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-2 დანართის 9.6 და 10.6 პუნქტებით განსაზღვრულ საქმიანობას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა არის შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენისა და შესწავლის პროცედურა იმ დაგეგმილი საქმიანობისთვის, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე და რომელიც მიეკუთვნება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას და სკრინინგის გადაწყვეტილების შესაბამისად, ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება მოიცავს სკოპინგს, გზშ-ის ანგარიშის მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობას, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების გამართვას, მიღებული შედეგების შეფასების საფუძველზე ექსპერტიზის დასკვნის მომზადებას და მის მხედველობაში მიღებას ამ კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისას ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

2. საკანონმდებლო ჩარჩო დოკუმენტები

2.1 საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მოიცავს კონსტიტუციას, გარემოსდაცვით კანონებს, საერთაშორისო შეთანხმებებს, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, პრეზიდენტის ბრძანებულებებს, მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებს, მინისტრების ბრძანებებს, ინსტრუქციებს, რეგულაციებს და სხვა. საქართველოს რატიფიცირებული აქვს რამოდენიმე გარემოსდაცვითი საერთაშორისო კონვენცია.

საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი გარემოსდაცვითი კანონების მოთხოვნები (ცხრილი №2.1).

ცხრილი №2.1

მიღების წელი	კანონის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი
1994	საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ	370010000.05.001.018678
1995	საქართველოს კონსტიტუცია	010010000.01.001.016012
1996	საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ	360000000.05.001.018613
1997	საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ	410000000.05.001.018606
1997	საქართველოს კანონი წყლის შესახებ	400000000.05.001.018653
1999	საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ	420000000.05.001.018620
1999	საქართველოს ტყის კოდექსი	390000000.05.001.018603
1999	საქართველოს კანონი საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ	040160050.05.001.018679
2003	საქართველოს წითელი ნუსხის და წითელი წიგნის შესახებ	360060000.05.001.018650
2003	საქართველოს კანონი ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ	370010000.05.001.018641

2014	საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ	130000000.05.001.01860
2007	საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ	470000000.05.001.018607
2014	ნარჩენების მართვის კოდექსი	360160000.05.001.018604
2017	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი	360160000.05.001.018605

2.2 საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტები

წინამდებარე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის დამუშავების პროცესში გარემო ობიექტების (ნიადაგი, წყალი, ჰაერი) ხარისხის შეფასებისათვის გამოყენებული იქნა შემდეგი გარემოსდაცვითი სტანდარტები (ცხრილი №2.2).

ცხრილი №2.2

მიღების თარიღი	ნორმატიული დოკუმენტის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №435 დადგენილებით	300160070.10.003.017660
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №408 დადგენილებით.	300160070.10.003.017622
3/1/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ექსპლუატაციის შესახებ“ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №21 დადგენილებით.	300160070.10.003.017590
2014	ტექნიკური რეგლამენტი - „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ	300160070.10.003.017621

	დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №414 დადგენილებით.	
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №425 დადგენილებით.	300160070.10.003.017650
3/1/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №8 დადგენილებით.	300160070.10.003.017603
2014	გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი - დამტკიცებული საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით.	300160070.10.003.017608
2014	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების ნორმების შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №28 დადგენილებით.	300160070.10.003.017585
14/01/2014	ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №54 დადგენილებით.	300160070.10.003.017673
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „კარიერების უსაფრთხოების შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №450 დადგენილებით.	300160070.10.003.017633
1/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით.	300160070.10.003.017647
15.01.2014	ტექნიკური რეგლამენტი - სასმელი წყლის შესახებ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №58 დადგენილებით.	300160070.10.003.017676
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებით.	300160070.10.003.017640
4/8/2015	ტექნიკური რეგლამენტი - „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესი“. დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №211 ბრძანებით	360160000.22.023.016334

17/08/2015	ტექნიკური რეგლამენტი - „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის N426 დადგენილებით.	300230000.10.003.018812
1/8/2016	საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №422 დადგენილება „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“.	360100000.10.003.018808

2.3 საერთაშორისო ხელშეკრულებები

საქართველო მიერთებულია მრავალ საერთაშორისო კონვენციას და ხელშეკრულებას, რომელთაგან გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია შემდეგი:

- ბუნებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა:
- კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ, რიო დე ჟანეირო, 1992 წ;
- კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ, რამსარი 1971 წ;
- კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES), ვაშინგტონი, 1973 წ;
- ბონის კონვენცია ველური ცხოველების მიგრაციული სახეობების დაცვის შესახებ, 1983 წ.
- **კლიმატის ცვლილება:**
 - გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, ნიუ-იორკი, 1994 წ;
 - მონრეალის ოქმი ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ, მონრეალი, 1987;
 - ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ, 1985 წ;
 - კიოტოს ოქმი, კიოტო, 1997 წ;
 - გაეროს კონვენცია გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, პარიზი 1994.
- **დაბინძურება და ეკოლოგიური საფრთხეები**
 - ევროპის და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ხელშეკრულება მნიშვნელოვანი კატასტროფების შესახებ, 1987 წ.
- **კულტურული მემკვიდრეობა:**
 - კონვენცია ევროპის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ;
 - კონვენცია ევროპის არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ
- **საჯარო ინფორმაცია**
 - კონვენცია გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების

მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჰუსის კონვენცია, 1998 წ.).

3. პროექტის საჭიროების დასაბუთება

ქ. სიღნაღისა და ქ. წნორის წყალარინების სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროექტი წარმოადგენს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტს.

ამჟამად ქ. სიღნაღისა და ქ. წნორს არ გააჩნია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა და დაბინძურებული სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები გაწმენდის გარეშე ჩაედინება ზედაპირული წყლის ობიექტში და გრუნტში.

ტურისტული პოტენციალის ზრდის გათვალისწინებითა და ადგილობრივი მაცხოვრებლების ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით მიღებული იქნა გადაწყვეტილება ქ. სიღნაღისა და ქ. წნორის წყალარინების სისტემებით უზრუნველყოფის შესახებ. პროექტის განხორციელებით თავიდან იქნება აცილებული ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, ასევე ნიადაგის და გრუნტის დაბინძურება.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პროექტის საბოლოო ვარიანტის შემუშავებამდე და მის განსახორციელებლად საუკეთესო ალტერნატივის შესარჩევად რამდენიმე ვარიანტის დამუშავებამდე შეფასდა არსებული საკანალიზაციო ქსელის მდგომარეობა. გარდა ამისა, გამწმენდი ნაგებობის საპროექტო წარმადობის შესარჩევად გამოთვლილი იქნა წყალმოხმარებაზე და შესაბამისად წყალარინებაზე მოთხოვნილება, როგორც მოსახლეობის, ასევე ტურისტული პოტენციალის ზრდის გათვალისწინებით.

4. წყალარინების არსებული მდგომარეობა

ქალაქების სიღნაღისა და წნორის წყალარინების სისტემები ნაწილობრივ ამორტიზებულია და საჭიროებენ სრულყოფას და რეკონსტრუქციას.

ქ. სიღნაღის ცენტრალური ნაწილის კოლექტორები ძირითადად მოწყობილია $d=300$ მმ პოლიეთილენის გოფირებული მილებისაგან და მათი საერთო სიგრძე შეადგენს დაახლოებით 4 კმ-ს. რამდენიმე ქუჩაზე მოწყობილია კოლექტორი აზბესტოციემენტის მილებისაგან ($d=200=150$ მმ) და მათი საერთო სიგრძე შეადგენს დაახლოებით 3 კმ-ს. კოლექტორებს გაყავთ ჩამდინარე წყლები ტერიტორიის გარეთ და უშვებენ მშრალ ხევებში.

ქ. წნორში წყალარინების კოლექტორები აზბოციემენტისა და თუჯისა და მათი საერთო სიგრძე შეადგენს დაახლოებით 3 კმ-ს. მილები მთლიანად ამორტიზებულია და საჭიროებენ ახლით შეცვლას. აქვე ყურადსაღებია, რომ პროექტი არ ითვალისწინებს აზბესტოციემენტის მილების დემონტაჟს, საპროექტო მილსადენებისთვის შერჩეულია ახალი ტრასა.

როგორც სიღნაღს, ასევე წნორს არ გააჩნია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა, სამეურნეო-ფეკალური წყლები არსად არ იწმინდება და აღნიშნული წყლები გაწმენდის გარეშე ჩაედინება ზედაპირული წყლის ობიექტებში და გრუნტში, რაც იწვევს ანტისანიტარიის კერების წარმოქმნას და ასევე, ხელს უწყობს მაცხოვრებლების და დამსვენებლების სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობის გაუარესებას.

5. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

5.1 საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა დაგეგმილი აქვს სიღნაღის მუნიციპალიტეტში, კერძოდ სოფ. საქობოში.

ქალაქები სიღნაღი და წნორი მდებარეობენ აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კახეთში, ზღვის დონიდან 836 და 294 მეტრ სიმაღლეებზე, თბილისიდან 109 და 120 კმ მოშორებით.

ტერიტორია, სადაც გათვალისწინებულია მშენებლობა, წარმოადგენს არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, საკადასტრო კოდით: 56.03.48.208 (ნაკვეთის წინა ნომერი 56.03.43.131). მიწის ნაკვეთი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა, ამასთან ნაკვეთის კაპიტალში შემოტანის პროცედურებს ახორციელებს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

საკანალიზაციო ქსელის მოწყობა ითვალისწინებს საკადასტრო ნაკვეთების საზღვრებს და დაუშვებელია, რომ ქსელის კოლექტორებმა, ან მილსადენებმა გადაკვეთოს კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიები. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს რაიმე ტიპის საწარმოები. შესაბამისად, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ტერიტორიის მიმდებარედ, 500 მეტრიანი რადიუსის ზონაში, ძირითადად მდებარეობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთები. 500 მეტრიანი რადიუსის გარეთ, ქ. წნორამდე, მდებარეობს მიწის ნაკვეთები, რომლებზეც განთავსებულია არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები. რაც შეეხება უახლოეს დასახლებას, ქ. წნორი, ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 5 კმ-ით. საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 370 მეტრი მიედინება მდ. დიდი ოლე. ხოლო დაახლოებით 3,6 კმ-ში მდ. ალაზანი.


საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს დაცული ტერიტორიები და ზურმუხტის ქსელის საიტი. უახლოესი ზურმუხტის ქსელის შეთავაზებული საიტი GE0000022 - ალაზანი მდებარეობს გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიიდან დაახლოებით 3,6 კმ-ში.

გამწმენდი ნაგებობისთვის შერჩეული ტერიტორია და უშუალოდ გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილის GPS კოორდინატები მოცემულია სიტუაციურ რუკაზე - სურათი N1,

ხოლო ტერიტორიის სურათები მოცემულია N2, N3 სურათზე. რაც შეეხება უშუალოდ გამწმენდი ნაგებობისა და ტერიტორიაზე განსათავსებელ ტექნოლოგიური ელემენტების GPS კოორდინატებს, აღნიშნულია დატანილია გზმ-ის ანგარიშზე თანდართულად წარმოდგენილ გენ.გეგმაზე.

სურ. 1 - საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური სქემა






სურ. 2 - საპროექტო გამწმენდი ნაგებობის ტერიტორია



სურ. 3 - საპროექტო გამწმენდი ნაგებობის ტერიტორია



სურ. 4 - საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური ნახაზი



5.2 საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის პროექტის აღწერა, წყალარინების ქსელის დახასიათება

5.2.1 საპროექტო გადაწყვეტილებები

პროექტით დაგეგმილია, რომ დასახლებული ტერიტორიიდან სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ქუჩის კოლექტორებისა და მთავარი გამყვანი კოლექტორების მეშვეობით შეიკრიბოს და მოხვდეს გამწმენდ ნაგებობებზე.

მთავარი გამყვანი კოლექტორის საერთო სიგრძე იქნება ~ 11 კმ. აქედან გამწმენდი ნაგებობების ტერიტორიამდე ~ 5,6 კმ, ხოლო გამწმენდი ნაგებობებიდან მდ. ალაზნამდე (ჩაშვების ადგილი) ~ 5,4 კმ.

როგორც აღინიშნა, სამომავლოდ, პერსპექტივაში (2050 წლისთვის) ქ. სიღნაღისა და წნორის წყალარინების სისტემაში შესაძლებელია ჩაერთოს მიმდებარე 17 სოფელიც, რომელთა ხარჯებიც გათვალისწინებულია წინამდებარე პროექტის შესაბამის კოლექტორების გაანგარიშებისას. მიუხედავად მიმდებარე სოფლების ხარჯების გათვალისწინებისა, მოცემული გადაწყვეტა ჰიპოთეტურია და ამ ეტაპზე არ ხორციელდება. თუ სამომავლოდ იქნება მოთხოვნა და გამოყოფილი იქნება შესაბამისი ბიუჯეტი სხვა, ახლომდებარე დასახლებების აღნიშნულ გამწმენდზე დაერთებისთვის, მომზადდება შესაბამისი პროექტი და წარედგინება ყველა უფლებამოსილ უწყებას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

ქუჩის კოლექტორი გაუყვება დასახლებაში არსებულ გზას. მისი მინიმალური დიამეტრი ნორმების მოთხოვნის შესაბამისად მიღებულია 200 მმ, რომლის გამტარუნარიანობა ხშირად ბევრად აღემატება მაქსიმალურ საანგარიშო ხარჯებს. ასეთი სისტემა წარმოადგენს ე.წ. არასაანგარიშო უბნების ერთობლიობას, ამიტომ მისი ჰიდრავლიკური გაანგარიშება აზრს კარგავს. მცირე ხარჯების გამო კოლექტორებში შეუძლებელი იქნება არადაძლიევი სიჩქარეების მიღწევა, რის გამოც ისინი პერიოდულად უნდა გაირეცხოს.

წყალარინების ქსელების მინიმალური ჩაღრმავებები შეადგენს 1,2 მ-ს (შენობების ინდივიდუალურ გამომყვანებზე და ეზოს ქსელებში ზოგან დადის 0,6±0,7 მ-მდე). მაქსიმალური ჩაღრმავება აღწევს 7 მ-ს. კოლექტორების მასალად მიღებულია გოფრირებული პლასტმასის მილები. ქსელზე გათვალისწინებულია წყალარინების სათვალთვალო ჭები, რკინაბეტონის რგოლებით. ჭის ქვედა ნაწილში ეწყობა მონოლითური ბეტონის ღარები. ჭები აღჭურვილია თუჯის ხუფებით.

ქ. წნორის წყალარინების ქსელის მილის სიგრძე და პარამეტრები შემდეგია:

მილის დიამეტრი	მილის მასალა	მილის საერთო სიგრძე
ID200	გოფრირებული მილი HDPE	39128
ID250	გოფრირებული მილი HDPE	2559

ID300	გოფრირებული მილი HDPE	1007
ID400	გოფრირებული მილი HDPE	3392
ID600	გოფრირებული მილი HDPE	1854
ID800	გოფრირებული მილი HDPE	6013
OD63	პოლიეთილენის მილი PE100	614
OD90	პოლიეთილენის მილი PE100	334
OD225	პოლიეთილენის მილი PE100	36
OD630	პოლიეთილენის მილი PE100	50
OD800	პოლიეთილენის მილი PE100	140
DN400	თუჯის მილი	91

ქსილნალის წყალარინების ქსელის მილის სიგრძე და პარამეტრები შემდეგია:

მილის დიამეტრი	მილის მასალა	მილის საერთო სიგრძე
ID200	გოფრირებული მილი HDPE	20722
ID250	გოფრირებული მილი HDPE	505
ID300	გოფრირებული მილი HDPE	1176
ID400	გოფრირებული მილი HDPE	1731
OD63	პოლიეთილენის მილი PE100	921
OD90	პოლიეთილენის მილი PE100	201
OD160	პოლიეთილენის მილი PE100	1387
OD225	პოლიეთილენის მილი PE100	72
OD280	პოლიეთილენის მილი PE100	28
OD315	პოლიეთილენის მილი PE100	465
OD355	პოლიეთილენის მილი PE100	16
OD450	პოლიეთილენის მილი PE100	11
DN200	თუჯის მილი	11
DN300	თუჯის მილი	181
DN400	თუჯის მილი	381

გაწმენდილი წყლის გამყვანი კოლექტორის სიგრძე და პარამეტრები შემდეგია:


მილის დიამეტრი	მილის მასალა	მილის საერთო სიგრძე
OD630	გოფრირებული მილი SN8	5152

გამომდინარე იქიდან, რომ სხვადასხვა საკომუნიკაციო კომპანიებს არ აქვთ თავიანთი ქსელების ციფრული ვერსიები, კომუნიკაციების გადაკვეთა მოხდება მათი წარმომადგენლის

უშუალო დასწრებით და მითითებით გარემოს მიწების მეშვეობით. ამასთან კომუნიკაციების გადაკვეთის საკითხებთან დაკავშირებით, უკვე არსებობს შესაბამისი მიწერილობა, რაც დანართის სახით თან ერთვის გზშ-ის ანგარიშს.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კომპანიამ მიმართა შპს „საქართველოს მელიორაციას“ და გამოითხოვა ინფორმაცია მათ ბალანსზე რიცხული საკომუნიკაციო არხების შესახებ. მშენებლობის ეტაპზე, მათ ბალანსზე არსებული არხების გადაკვეთა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხორციელდება მათი უშუალო მონაწილეობით და შესაბამისი თანხმობების საფუძველზე.

წყალარინების სისტემის საპროექტო კრიტერიუმები


დასახელება	მონაცემები
საპროექტო არეალის დაზუსტებული საზღვრები	
დასახლებული ადგილები	 <p>ქ. სიღნაღის და ქ. წნორის წყალარინება Waste water of Sighnaghi and Dsnori towns ნა.1 სიტუაციური სქემა Drawing 1. situational scheme</p> <div data-bbox="571 1547 1445 1641"> <p> დასახლებული ადგილები, რომელთა წყალარინება გათვალისწინებულია მოცემული პროექტით (ქ. სიღნაღი და წნორი)</p> </div> <div data-bbox="571 1666 1418 1760"> <p> დასახლებული ადგილები, რომელთა წყალარინება გათვალისწინებულია განხორციელდეს პერსპექტივაში</p> </div> <p>საპროექტო ტერიტორია მოიცავს ქალაქებს სიღნაღსა და წნორს, მათ გამყვან კოლექტორებს და ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებს. დანარჩენი 17 დასახლების წყალარინების ქსელი არ შედის მოცემული პროექტის შემადგენლობაში. ამასთან, სქემაზე მოყვანილი ყველა დასახლებული ადგილის წყლის ხარჯები გათვალისწინებულ უნდა იქნას მთავარი გამყვანი და გამწმენდი წყლის ჩამშვები კოლექტორების გაანგარიშებისას. გამწმენდი ნაგებობების დაპროექტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მათი გაფართოების შესაძლებლობა.</p>

კრიტერიუმები, რომლებიც გამოყენებულია საპროექტო ხარჯების დასადგენად (ტექნიკური ინსტრუქციები)	
დაერთების კოეფიციენტი	მოსახლეობის 90.0 % (საპროექტო საბოლოო ეტაპი)
ჩამდინარე წყლის/წყლის მოხმარების თანაფარდობა	90.0 %
სანიტარული ხარჯი $Q_{დღ.}^{მაქ.}$	$Q_{დღ.} = Q_{მოს.}^{საშ.} \times 0,90 \times 0,90 \text{ მ}^3/\text{დღ}$ $Q_{დღ.}^{მაქ.} = Q_{დღ.} \times K_{დღ.} \text{ მ}^3/\text{დღ}$ $Q_{მოს.}^{საშ.}$ - წყალმომარაგების საშუალო დღეღამური ხარჯია $K_{დღ.}$ - დღეღამური უთანაბრობის კოეფიციენტი (ტექნიკური ინსტრუქციები)
უთანაბრობის კოეფიციენტები	
კოლექტორების განლაგების მეთოდოლოგია	
მთავარი გამყვანი კოლექტორი	გაიყვანება ტერიტორიის უდაბლეს ნიშნულზე
გვერდითი მიერთებები	კრებს ჩამდინარე წყლებს კვარტლებიდან დაბალი ფერდის გაყოლებით (ტექნიკური ინსტრუქციები)
მილის ჩადების მინიმალური და მაქსიმალური სიღრმეები CNIIP 2.04.03-85	
მინიმალური სიღრმე	გრუნტის ჩაყინვის სიღრმეს მინუს 0,3 მ, მაგრამ არა უმცირეს 0,7 მ-ისა მილის თალიდან
მაქსიმალური სიღრმე	ტექნიკო-ეკონომიკური გაანგარიშება
წყალარინების თვითდენითი მილების მინიმალური ქანობები დიამეტრების მიხედვით	
ჰიდრავლიკური ფორმულა საკანალიზაციო მილსადენის პროექტისათვის.	მანინგის განტოლება Colebrook-White - განტოლება (EN 752)
მინიმალური დაქანება უდანალექო მუშაობისთვის	1 / DN (SNiP 2.04.03-85 და EN 752)
წყალარინების თვითდენითი მილების მაქსიმალური დასაშვები შევსება დიამეტრების მიხედვით	
დიამეტრები მმ	შევსება H/D
150÷250	0,6
300÷400	0,7
450÷900	0,75
	(SNiP 2.04.03-85)

მინიმალური და მაქსიმალური სიჩქარეები წყალარინების თვითღენით მილებში დიამეტრისა და მასალის მიხედვით, მილის სიმქისე.	
დიამეტრები მმ 150÷250 300÷400 450÷500	მინიმალური სიჩქარეები მ/წმ მილის მასალის მიუხედავად 0,7 0,8 0,9
ლითონის მილებში არალითონის მილებში	მაქსიმალური დასაშვები სიჩქარეები მ/წმ 8 მ/წმ 4 მ/წმ (SNIIP 2.04.03-85)
მილის სიმქისე	თუჯის მილი ცემენტის სარჩულით და 0.011 - 0.015 საიზოლაციო საფარით ბეტონის მილი 0.011 - 0.015 პლასტმასის მილი(გლუვი) 0.011 - 0.015 მოჭიქული თიხის მილი 0.011 - 0.015 (ტექნიკური ინსტრუქციები)
ინფილტრაციის კოეფიციენტის საანგარიშო მაჩვენებელი	
სათვალთვალო ჭების საორიენტაციო რაოდენობა	$n_{ჭები}=0,2 \times N$ სადაც N-მოსახლეობის საანგარიშო რაოდენობაა. ფაქტიური პროექტის მიხედვით
ინფილტრაციის დღე-ღამური ხარჯი	$Q_{ინფ.დღ}=0,50 \times n_{ჭები} \text{ მ}^3/\text{დღ}$ (ტექნიკური ინსტრუქციები)
წყალარინების ობიექტების (სატუმბო სადგურები და სხვა) კონსტრუქციული კრიტერიუმები: ბეტონის კლასი, არმატურის დამცავი საფარის სისქე.	
ბეტონის მარკა დამცავი ფენის სისქე	M-450, M-500 >35 მმ (ტექნიკური ინსტრუქციები, EN 206-1)
კოლექტორებისა და სათვალთვალო ჭების პარამეტრები	
წყალარინების კოლექტორის მინიმალური დიამეტრი	200 მმ
მომხმარებლებთან დაერთებების მინიმალური დიამეტრი	0
სათვალთვალო ჭების დიამეტრი კოლექტორების დიამეტრის მიხედვით	> DN 150 & < DN 600 1000 მმ ≥ DN 600 & ≤ DN 800 1250 მმ ≥ DN 800 & ≤ DN 1000 1500.00 მმ ≥ DN 1000 & ≤ DN 1200 2000.00 მმ მილის სიღრმე > 3.0 მ 1500.00 მმ
ჭებს შორის მაქსიმალური მანძილი	თუ კოლექტორის d=150 მმ - 35 მ თუ კოლექტორის d=200 ÷ 450 მმ - 50 მ
შემომავალი საკანალიზაციო მილებისათვის მაქსიმალური ვარდნის სიმაღლე	0.7 - 1.0 მ, სხვა შემთხვევაში გარე ვარდნის მილი (> DN 200)
მასალა	
გამყვანი კოლექტორები და საოჯახო დაერთებები	მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენი (HDPE) (გოფირებული) (EN 13476)

ჭები	ასაწყობი რ/ზ ელემენტებისგან, ან მზა ფაბრიკატი- მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენი(HDPE) ჭების წყალგაუმტარი სისტემა DIN EN 1277 და DIN EN 1610, ჭის თავსახურავი EN 124, გამტ, თუჯი, კატეგორია D 400
ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები	
დაბინძურების დღეღამური ნორმა ერთ კაცზე გრამებში ჟბმს-ის მიხედვით	60
შეწონილი ნაწილაკების მიხედვით	70
საერთო აზოტის მიხედვით	11
საერთო ფოსფორის მიხედვით	1,8
გაწმენდილი ჩამდინარე წყლების მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციები მგ/ლ ჟბმს-ის მიხედვით	25
შეწონილი ნაწილაკების მიხედვით	30
საერთო აზოტის მიხედვით	15
საერთო ფოსფორის მიხედვით	2
აქტიური ქლორის დოზა ბიოლოგიური გაწმენდის შემდეგ მგ/ლ	5
გაწმენდილი ჩამდინარე წყლების ქლორთან კონტაქტის დრო წთ	30
მშენებლობა	
მიწის სამუშაოები	<p style="text-align: center;">თხრილი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გზის ხელოვნური საფარი 2. საფარის ფუძე 3. თხრილის კედლები 4. უკუჩაყრა 5. დამცავი ფენა 6. გვერდული ამოვსება 7. თხრილის ძირის მომზადების ზედა ფენა 8. თხრილის ძირის მომზადების ქვედა ფენა 9. თხრილის ძირი 10. მილზედა ფენების ჯამური სიმაღლე 11. მომზადების სიმაღლე 12. მილსადენის მოწყობის ზონა 13. თხრილის სიღრმე

14. შეფიცვრა



დიამეტრი	თხრილის მინიმალური სიგანე (od+x) [მ]		
	კედლების გამაგრებით	კედლების გამაგრების გარეშე	
		$\beta > 60^\circ$	$\beta \leq 60^\circ$
225-მდე	OD+0.40	OD+0.40	
225-დან 350-მდე	OD+0.50	OD+0.50	OD+0.40
350-დან 700-მდე	OD+0.70	OD+0.70	OD+0.40
700-დან 1200-მდე	OD+0.85	OD+0.85	OD+0.40
1200 და მეტე	OD+1.00	OD+1.00	OD+0.40

აქ $x/2$ არის მანძილი მილისა და თხრილის კედელს ან მილისა და შეფიცვრას შორის.
 OD არის მილის გარე დიამეტრი მ-ში
 β არის თხრილის კედლის დახრილობა ჰორიზონტალურ მიმართულებასთან

თხრილის მინიმალური სიგანე მილსადენის გარე დიამეტრის მიხედვით

თხრილის სიღრმე	თხრილის მინიმალური სიგანე
1.00-მდე	არ არის შეზღუდული
1.00-დან 1.75-მდე	0.80
1.75-დან 4.00-მდე	0.90
4.00 და მეტე	1.00

თხრილის მინიმალური სიგანე თხრილის სიღრმის მიხედვით

შეფიცვრა ეწყობა 1.7 მ-ზე ღრმა თხრილისათვის, ნიადაგის მდგომარეობის გათვლისწინებით.

მილსადენის მოწყობის ზონაში დამცავი შრის დატკეპნა უნდა მოხდეს ხელით. (EN 805, EN 1610, DIN 4124)

დატკეპნა, მილსადენის ზონა		
დატკეპნის %		
<ul style="list-style-type: none"> • სიმკვრივე 95 % არაშეჭიდებული გრუნტი • სიმკვრივე 92 % შეჭიდებული გრუნტი 		
გრუნტის ტიპი	დატკეპნის ხარისხი	დეფორმაციის მოდული
შეჭიდებული	≥97 %	≥45 ნ /მმ ²
ხრეშოვანი	≥100 %	≥45 ნ /მმ ²
ქვიშნარი	≥100 %	≥100 ნ /მმ ²
სუსტი	≥103 %	≥150 ნ /მმ ²
ხრეშოვანი გრუნტები - დატკეპნის გარეესე		
EN 805		
ტესტირება	ტესტირება უნდა ჩატარდეს დადგენილი EN 1610 და EN 805 სტანდარტების მიხედვით, წნევის გათვალისწინებით. ზედაპირული თვითდინებითი მილსადენები უნდა შემოწმდეს "W" პროცედურის შესაბამისად	

5.3 მოსახლეობის დინამიკა და ხარჯების გაანგარიშება

მოსახლეობის რაოდენობა ქალაქ სიღნაღში შეადგენს 2800-ს, ხოლო წნორში 6400 ადამიანს. სიღნაღში არის კვებისა და მსუბუქი მრეწველობის მცირე საწარმოები. ასევე ის წარმოადგენს ტურისტულ ზონას.

ქალაქების სიღნაღისა და წნორის მოსახლეობა ძირითადად კერძო ეზოიან საცხოვრებელ სახლებში ცხოვრობს. განაშენიანება ყველგან ორსართულიანია.

როგორც ითქვა, წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს ქალაქების სიღნაღისა და წნორის წყალარინების სისტემის მშენებლობას. ამასთან პერსპექტივაში (2050 წლისთვის) გათვალისწინებულია ქალაქების მიმდებარე სოფლების (17 სოფელი) კანალიზაცია. აქედან გამომდინარე, საჭიროა გამოითვალოს მთავარი გამყვანი კოლექტორისა და სოფლების დაჯგუფებების გამომყვანი კოლექტორების ხარჯები, რათა ისინი დაპროექტდეს პერსპექტიული ხარჯის გატარების შესაძლებლობაზე. ამიტომ, საანგარიშო ხარჯები უნდა გამოითვალოს ყველა ზონისათვის (რეგიონისათვის); რეგიონის „ძირითადი“ ნაწილისათვის (ქალაქები სიღნაღი და წნორი, სოფლები: ზემო ბოდბე, ზემო მადარო, ნუკრიანი და საქობო - „ცენტრალური“ ზონა).

რეგიონის დანარჩენი ნაწილისათვის (სადაც სოფლები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველი ჯგუფი-ბაკურციხე, კარდანახი, ანაგა, ვაქირი და მამნარი - „მარცხენა“ ზონა და მეორე ჯგუფი-ოზაანი, არბოშიკი, ზემო მაჩხაანი, მირზაანი, ტიბაანი, ქვემო მაჩხაანი, ბოდბისხევი და ჯულაანი-„მარჯვენა“ ზონა).

წყალარინების საანგარიშო ხარჯები მიიღება წყალმომარაგებისთვის საჭირო წყლის ხარჯებიდან. წყალმომარაგების ხარჯების (მოთხოვნების) გაანგარიშება წარმოებს ტექნიკური ინსტრუქციების მიხედვით.

ცხრილი N5.3-ში მოცემულია ქ. სიღნაღისა და წნორის წყალარინების გამწმენდი ნაგებობების ძირითადი საწყისი პარამეტრები.

ცხრილი N5.3


№	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	
			2021	2050
1	2	3	4	5
1	მოსახლეობის საანგარიშო რაოდენობა	მცხ.	9200	11040
2	წყალმომარაგების ნორმა n	ლ/დღ.მცხ	160	160
3	საშუალო დღეღამური ხარჯი $Q_{\text{საშ.დღ}} = \frac{N \times n}{1000}$	მ3/დღ	1472	1766
4	საშუალო დღეღამური ხარჯი მცირე საწარმოების გათვალისწინებით $Q_{\text{საშ.დღ}}^1 = Q_{\text{საშ.დღ}} \times 1.1$	მ3/დღ	1619	1943
5	ტურისტების დღეღამური რაოდენობა N _ტ	კაც.	1530	1840
6	წყალმომარაგების ნორმა ტურისტებისთვის n _ტ	ლ/დღ.ტ	170	170
7	საშუალო დღეღამური ხარჯი ტურისტებისათვის $Q_{\text{საშ.დღ.ტ}} = \frac{N_{\text{ტ}} \times n_{\text{ტ}}}{1000}$	მ3/დღ	261	313
8	საშუალო დღეღამური ხარჯი საავადმყოფოსათვის ქ. წნორში (საავადმყოფო 35 საწოლზე, მომსვლელები 300 კაც./დღ) $Q_{\text{საშ.საავ.}} = \frac{35 \times 200 + 300 \times 15}{1000}$	მ3/დღ	12	12
9	წყალმომარაგების ჯამური საშუალო დღეღამური ხარჯი (პ.4+პ.7+პ.8)	მ3/დღ	1892	2268
10	მიერთებების დაფარვის მაჩვენებელი	%	90	90
11	ჩამდინარე წყლებისა და წყალმომარაგების მოცულობების ფარდობა	%	90	90
12	ჩამდინარე წყლების ხარჯი. საშუალო. (პ.9x0.9x0.9)	მ3/დღ	1533	1837

13	საწარმოების ჩამდინარე წყლები	მ3/დღ	0	0
14	მოსახლეობის დაყვანილი რაოდენობა (პ.1+პ.5+335) 335-საავადმყოფოში ადამიანების რიცხვი	კაცი	11069	13216
15	პიკური დატვირთვების კოეფიციენტი		2,0	2,0
16	ჯამური ჩამდინარე წყლების ხარჯი (საშუალო)	მ3/დღ	1533	1837
17	სისტემაში შემოღწეული წყალი (0,5 მ/დღ ჭაზე)			
18	ჭების მიახლოებითი რაოდენობა	ც	2214	2643
19	ინფილტრაციის ხარჯი დღელამური (პ.17x0.5)	მ3/დღ	1107	1322
20	ინფილტრაციის ხარჯი საათური (პ.19/24)	მ3/სთ	46	55
21	საშუალო დღიური ხარჯი	მ3/დღ	1550	1850
22	მაქსიმალური დღიური ხარჯი (პ.21xპ.15)	მ3/დღ	3100	3700
23	საათობრივი ხარჯი. საშუალო. (პ.21/24)	მ3/სთ	64	77
24	უთანაბრობის საერთო კოეფიციენტი (კრიტერიუმი)		3,2	3,2
25	საათობრივი ხარჯი „მშრალ“ ამინდში. მაქს (პ.23 xპ.24)	მ3/სთ	204	245
26	საათობრივი ხარჯი „სველ“ ამინდში. მაქს. (პ.25+პ.20)	მ3/სთ	250	300
27	ჟბმ5-ის ნორმა 1 კაცზე დღელამეში	გ/კ დღ	60	60
28	დღელამური დატვირთვა ჟბმ5-ის მიხედვით (პ.27 xპ.14)	კგ/დღ	664	793
29	იგივე სამრეწველო საწარმოებიდან	კგ/დღ	0	0
30	სულ დატვირთვა ჟბმ5-ის მიხედვით (პ.28+პ.29)	კგ/დღ	664	793
31	ჩამდინარე წყლების საშუალო კონცენტრაცია ჟბმ5-ის მიხედვით (პ.30/პ.21)	მგ/ლ	433	432
32	შეწონილი ნაწილაკების ნორმა 1 კაცზე დღელამეში	გ/კ დღ	70	70
33	დღელამური დატვირთვა შეწონილი ნაწილაკების მიხედვით (პ.32xპ.14)	კგ/დღ	775	925
34	იგივე სამრეწველო საწარმოებიდან	კგ/დღ	0	0
35	სულ დატვირთვა შეწონილი ნაწილაკების მიხედვით (პ.33+პ.34)	კგ/დღ	775	925
36	ჩამდინარე წყლების საშუალო კონცენტრაცია შეწონილი ნაწილაკების მიხედვით (პ.35/პ.21)	მგ/ლ	506	504
37	TKN-ნორმა ერთ კაცზე დღელამეში	გ/კ დღ	11	11

38	დღელამური დატვირთვა TKN-ის მიხედვით (პ.37xპ.14)	კგ/დღ	122	145
39	იგივე სამრეწველო საწარმოებიდან	კგ/დღ	0	0
40	სულ დატვირთვა TKN-ის მიხედვით (პ.38+პ.39)	კგ/დღ	122	145
41	ჩამდინარე წყლების საშუალო კონცენტრაცია TKN-ის მიხედვით (პ.40/პ.21)	მგ/ლ	80	80
42	P-ის ნორმა ერთ კაცზე დღელამეში	გ/კ დღ	1,8	1,8
43	დღელამური დატვირთვა P-ის მიხედვით (პ.42xპ.14)	კგ/დღ	20	24
44	იგივე სამრეწველო საწარმოებიდან	კგ/დღ	0	0
45	სულ დატვირთვა P-ის მიხედვით (პ.43+პ.44)	კგ/დღ	20	24
46	ჩამდინარე წყლების საშუალო კონცენტრაცია P-ის მიხედვით (პ.45/პ.21)	მგ/ლ	13,0	13,0

გამწმენდი ნაგებობების კომპლექსისა და გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესების შესარჩევად ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული იქნა სისტემა მოდულური ტიპის კომბინირებული ბიოლოგიური რეაქტორით.

ნახ.5.3 წყალარინების გამწმენდი ნაგებობის სქემა



1. ჩამდინარე წყლების მომყვანი მილსადენი;
2. მიმღები კამერა;
3. წინასწარი წმენდის კომბინირებული გისოსი ქვიშადაამჭერით;
4. შნეკური გისოსი;
5. მათანაბრებელი;
6. ტუმბოები;
7. ბიორეაქტორი;
8. ჰაერმბერები;
9. სტატიკური შემრევი;
10. ვერტიკალური თხელკედლიანი სალექარი;
11. ფილტრ-პრესი (ფოსფორის მოცილება);
12. ულტრაბერითი დასხივების აპარატი;
13. სალამე ფარდული;
14. სახიფათო ნარჩენების უბანი (ჯიხური);
15. გაწმენდილი ჩამდინარე წყლების მილსადენი.

ამასთან, გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე მოეწყობა ერთსართულიანი ადმინისტრაციული შენობა, სადაც განთავსდება ლაბორატორია მოწყობილობა-

დანადგარებით, სკადა მართვის ოთახი, დირექტორის ოთახი, სანიტარული საშხაპე და ტუალეტის კვანძები. აგრეთვე, გათვალისწინებულია სატრანსფორმატორო ჯიხურის მოწყობა, რომელიც აღჭურვილი იქნება დიზელ-გენერატორით.

გამწმენდი ნაგებობების შემადგენლოაში შედის:

- მთავარი სატუმბი სადგური;
- მიმღები კამერა;
- წინასწარი წმენდის კომბინირებული მოწყობილობები;
- მათანაბრებული რეზერვუარი;
- ბიოლოგიური წმენდის ბლოკი (რეაქტორი);
- სტატიკური შემრევი (ფოსფორის მოცილება);
- ვერტიკალური თხელკედლიანი სალექარი (ფოსფორის მოცილება);
- UV დანადგარი (გაუვნებლობა);
- შემკრები რეზერვუარი;
- ფილტრ-პრესი ფოსფორის მოცილების ნალექისათვის და ა.შ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩამდინარე წყლების ძირითადი მახასიათებლები მოყვანილია ცხრილ №5.3-ში. გამწმენდ ნაგებობებზე მიწოდებული და გამოსული ჩამდინარე წლის გაბინძურებათა კონცენტრაციები მოყვანილია ცხრილ №5.3.1-ში.

ცხრილი №5.3.1

პარამეტრი	გაწმენდამდე	გაწმენდის შემდეგ	შენიშვნა
1	2	3	4
ჟქმ მგ/ლ	858	125	ჟქმ=2×ჯბმ
ჯბმ მგ/ლ	428	25	
შეწონილი ნაწილაკები მგ/ლ	500	30	
საერთო N მგ/ლ	79	15	
P მგ/ლ	13	2	

გამწმენდი ნაგებობების მთელი სისტემა უნდა გაანგარიშდეს 2 ფაზაზე - 2021 წლის მონაცემებით (Qსაშ=1550 მ³/დღ) და 2050 წლისათვის (Qსაშ=1850 მ³/დღ), მაგრამ ამ ძირითად მაჩვენებლებს შორის შედარებით მცირე სხვაობის (20%-მდე) გამო მიზანშეწონილია გამწმენდი ნაგებობების უმრავლესობა (მთავარი სატუმბი სადგური, მიმღები კამერა, წინასწარი წმენდის კომბინირებული მოწყობილობები უხეში და წმინდა გისოსებით, მათანაბრებელი რეზერვუარი, ფოსფორის მოცილების სისტემა და ა.შ.) დაპროექტდეს უშუალოდ მეორე ფაზის

ხარჯების გათვალისწინებით, ხოლო ბიოლოგიური წმენდის ძირითად ნაგებობაში ფაზებს შორის ხარჯების დარეგულირება მოხდება სექციების საჭირო რაოდენობის დამატების გზით.

გამწმენდი ნაგებობების მაღლივ სქემაზე (იხ. დანართი) წარმოდგენილია ცალკეული ელემენტების ურთიერთკავშირი ძირითადი პარამეტრების მიხედვით. (გაანგარიშებები ჩატარებულია ე.წ. მეორე ფაზისათვის - 2050 წლისათვის).

ქვემოთ მოყვანილია გამწმენდი ნაგებობის ცალკეული ელემენტების მოკლე აღწერა და მათი ძირითადი პარამეტრების გაანგარიშება.

5.4 მთავარი სატუმბო სადგური

მთავარი გამყვანი კოლექტორის $d=800$ მმ საშუალებით ჩამდინარე წყლები იკრიბება მთავარი სატუმბო სადგურის მიმღებ რეზერვუარში, საიდანაც სატუმბო დანადგარებით გადაიქაჩება გამწმენდი ნაგებობების მიმღებ კამერაში. ტუმბოების ჯამური წარმადობა შეადგენს $Q_{\text{მაქ.სველი}}=300$ მ³/სთ ≈ 84 ლ/წმ, ხოლო აწევის სიმაღლე $H=15$ მ. სატუმბოში ეწყობა გისოსი მსხვილი ნატანის დასაჭერად. გისოსების ღრიჭოს ზომაა 16 მმ. მაშინ, გისოსებზე დაჭერილი ნატანის დღელამური რაოდენობა იქნება

$$W = \frac{a \times N_{\text{დაყ}}}{365 \times 1000} \text{ მ}^3, \text{ სადაც}$$

a – 16 მმ-ანი გისოსის შემთხვევაში დაჭერილი ნაგვის წლიური რაოდენობაა 1 კაცზე და $a=8$ (სნ და წ 2.04.03-85 ცხრ. 23)

$N_{\text{დაყ}}$ - მოსახლეობის დაყვანილი რიცხვია და $N_{\text{დაყ}}=13200$ კაცს. მაშინ

$$W = \frac{8 \times 13200}{365 \times 1000} = 0,29 \text{ მ}^3/\text{დღ}$$

5.5 მიმღები კამერა

მიმღები კამერის დანიშნულებაა სატუმბო სადგურიდან მიღებული ჩამდინარე წყლის დარეგულირება, დაწყნარება და შემდგომ ნაგებობებზე გადაგზავნა. კამერის ზომებია $B \times L \times H=3 \times 4 \times 4$ მ და დაყოფილია სამ განყოფილებად (ორი მშრალი და ერთი ც ღია). მშრალ განყოფილებაში მოთავსებულია ურდულები ნაკადების დასარეგულირებლად და საავარიო კოლექტორში წყლის გასაშვებად.

5.6 წინასწარი წმენდის კომბინირებული მოწყობილობები

ასეთი მოწყობილობა ორი სახისაა: ა) წინასწარი წმენდის კომბინირებული კომპაქტური მოწყობილობა ცხიმის მოშორებით GDF/D-45 ღრიჭოების ზომით 6 მმ ან ანალოგი (ორი დანადგარი) და ბ) შნეკური გისოსის კომპაქტური მოწყობილობა არხში FSR-40 ღრიჭოების ზომებით 2 მმ ან ანალოგი (ორი დანადგარი).

თუ ჩაითვლება, რომ ამ ცხურებშიც ასევე ხდება 8 ლ/წელიწადში ნარჩენების გამოყოფა (პროპორციით 6 და 2), მაშინ დაჭერილი მასა იქნება

$$\text{მსხვილ ცხურებზე } \frac{0,29 \times 6}{8} = 0,22 \text{ მ}^3/\text{დღ} = 80,3 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

$$\text{წვრილ ცხურებზე } \frac{0,29 \times 2}{8} = 0,07 \text{ მ}^3/\text{დღ} = 25,6 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

კომბინირებულ კომპაქტურ მოწყობილობაში გისოსთან ერთად დამონტაჟებულია ქვიშდამჭერიც.

ქვიშდამჭერის გაანგარიშება ტარდება ს.ნ. და წ. 2.04.03-85. გვ.23. ქვიშდამჭერის სიგრძე გამოითავლება ფორმულით:

$$L = \frac{1000 \times K_s \times V_s}{K_0} = \frac{1000 \times 1.3 \times 0.5 \times 0.2}{24.2} = 5.37 \text{ მ}$$

სადაც:

K- კოეფიციენტი ცხრ. N27 დან K=1.3

H- ქვიშდამჭერის სიღრმე H=0.5

U და V სიჩქარე ცხრ. N28 დან; V=0,2; U=24.2

დაყოვნების დრო უნდა იყოს არანაკლებ 30 წმ.

ხარჯი ტოლია $300 \text{ მ}^3/\text{სთ} = 84 \text{ ლ}/\text{წმ} = 0,84 \text{ მ}^3/\text{წმ}$ ერთი სექციისთვის $\frac{0,084}{2} = 0,042 \text{ მ}^3/\text{წმ}$

წყლის დინების სიჩქარე ქვიშდამჭერში გამოითვლება ფორმულით

$$V = \frac{Q}{W} = \frac{0.042}{0.5 \times 0.5} = 0.168 \text{ მ}/\text{წმ}$$

სადაც Q ჩამდინარე წყლის ხარჯია (სველ ამინდში) და შეადგენს $300 \text{ მ}^3/\text{სთ} = 0,084 \text{ მ}^3/\text{წმ}$. ერთი სექციისთვის $\frac{0,084}{2} = 0,042 \text{ მ}^3/\text{წმ}$

W- ქვიშდამჭერის განივკვეთის ფართობია და უდრის $0,5 \times 0,5 = 0,25 \text{ მ}^2$

მაშინ $V = \frac{0.042}{0.25} = 0.168 \text{ მ}/\text{წმ}$

ქვიშდამჭერში წყლის დაყოვნების დრო

$$T = \frac{L}{V} = \frac{5.4}{0.168} = 32.1 \text{ წმ} \text{ (რაც აკმაყოფილებს სნდწ – ის მოთხოვნას 730 წმ)}$$

კომბინირებულ გამწმენდ დანადგარებში (ცხაურები+ქვიშდამჭერები) გამოყოფილი ქვიშის რაოდენობა გამოითვლება ფორმულით

$$W_j = \frac{a_j \times N_{დაყ}}{1000} \text{ მ}^3/\text{დღ}, \text{ სადაც}$$

a_j - ერთ კაცზე მოსული ქვიშის ნორმაა ლიტრებში დღ-ში $a_j = 0,02 \text{ ლ}/\text{დღ}$ 1კვ (სნ და წ 2.04.03-85) მაშინ

$$W_j = \frac{0,02 \times 13200}{365 \times 1000} = 0,27 \text{ მ}^3/\text{დღ} = 99 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

კომბინირებულ დანადგარიდან რკ/ბ-ის ცხაურით გადახურული $690 \times 600 \text{ (h)}$ მმ ზომის 2 არხით, რომელზეც დგას შნეკური გისოსი, ჩამდინარე წყალი მიეწოდება გამთანებრებელს.

5.7 ქ. სილნალისა და წნორის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის (WWTP) ზოგადი ტექნოლოგიური პროცესების დახასიათება. რეაქტორისა და გამათანაბრებლების გაანგარიშება

ქ. სილნალისა და ქ. წნორის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისთვის უპირატესობა მიენიჭა ინტეგრირებული სივრცითი-კონიუგირებული ბაქტერიული სისტემის (ISBS) ბიოტექნოლოგიას, რომელიც მიმდინარეობს მოდულური ტიპის კომბინირებულ ბიოლოგიურ რეაქტორში (MCBR).

«ISBS» ბიოტექნოლოგია [ინტეგრირებული სივრცითი-კონიუგირებული ბაქტერიული სისტემა] არის საპროექტო-საინჟინრო გადაწყვეტებისა და ბიოლოგიური მოდელების კომბინაცია, დაფუძნებული ბიოლოგიურ პრინციპებსა და მიკროორგანიზმების აქტივობის კანონზომიერებაზე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ბიოტექნიკის მოდელი დანერგილი «MCBR» [მოდულური ტიპის კომბინირებულ ბიოლოგიურ რეაქტორში].

«MCBR» - [მოდულური ტიპის კომბინირებული ბიოლოგიური რეაქტორი] არის ტექნოლოგიური ქვედანაყოფების კომპლექტი, რომელიც უზრუნველყოფს სამგანზომილებიან-მოწესრიგებულ, ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური წმენდის მრავალ ეტაპიან პროცესს.

საპროექტო და საინჟინრო გადმოსახედიდან «MCBR» არის სექციებიანი ბიორეაქტორი თანმიმდევრულად განლაგებული და ოპერაციულად შეკრული ბიო-კლასტერების კომბინაციით [სხვა სიტყვებით, სივრცით-დროის «TOP» ბიო-მოდული].

ჩამდინარე წყლის წმენდის პროცესი მიმდინარეობს გამდინარე რეჟიმში, მრავალ-სექციან საბარბოტაჟო რეაქტორში («MCBR»), ბიომასის დალექვის ზონებისა და აქტიური ბიომასის რეციკლიზაციის გარეშე.

შემადგენლობა და ბიო-მოდულთა რიცხვი, ისევე როგორც რეაქტორის სეგმენტთა (სექციათა) რიცხვი დაპროექტებულია ინდივიდუალური შეკვეთის მიხედვით, შემყვანი ჩამდინარე წყლის დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციისა და ჰიდრაულიკური დატვირთვის გათვალისწინებით. ეს ორივე პარამეტრი დიფერენცირებულია ჩამდინარე წყლის მუდმივი ბიოლოგიური წმენდის პროცესში ორგანულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციის შემცირების გათვალისწინებით და ასევე მიწოდებული ჟანგბადის რაოდენობით ბიორეაქტორში.

ბიორეაქტორის სექციებში ჩამდინარე წყლების ჰიდრაულიკური დაყოვნების დრო (HRT) დიფერენცირებულია ბიოდეგრადირებად დამაბინძურებელ ნივთიერებათა დაჟანგვის მაჩვენებლის გათვალისწინებითა და აქტიური ბიომასის კონცენტრაციით მრავალდონიან ინერტულ მატარებელში, [D.M.I.S.] ან [A.M.I.S.].

ეფექტური და შეცდომების გამომრიცხავი სისტემა ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური წმენდის პროცესში («ISBS») სრულდება სივრცით-დროითი «TOP» [სამგანზომილებიანი მოწესრიგებული პაკეტი] ბიო-მოდულის მეშვეობით.

„დინამიური მრავალდონიანი ინერტული მატარებელი“ - [D.M.I.S.] ან „ანოქსიური მრავალდონიანი ინერტული მატარებელი“ - [A.M.I.S.] არის მრავალდონიანი (პოლიმოლეკულური და მრავალბოჭკოვანი) ინერტული მატარებელი დაპროექტებული ჰიდრობიონტების იმობილიზაციისათვის. მორფოლოგიურად და მეტაბოლურად მრავალფეროვანი ბაქტერიული საზოგადოების (სივრცითი სიმბიოტური მეტაბოლიზმი) ჟანგვა-აღდგენითი ჯაჭვი ყალიბდება მრავალდონიანი ინერტული მატარებლის მეშვეობით აღჭურვილი კონკრეტული ბიორეაქტორის სივრცით.

დაპატენტებული დინამიური და ანოქსიური მრავალდონიანი ინერტული მატარებელი [D.M.I.S.] და [A.M.I.S.] ხელს უწყობს ბაქტერიათა იმობილიზაციას სამგანზომილებიან მოწესრიგებულ ძაფისებრ ნაკრებში. დაპატენტებული «TOP» სამგანზომილებიანი მოწესრიგებული პაკეტის მთავარ ელემენტს წარმოადგენს მრავალდონიანი ინერტული მატარებელი შევსებული იმობილიზებული სიმბიოტური ბაქტერიით.

ჩამდინარე წყლის სრული ბიოლოგიური წმენდა ნიტრიფიკაციით, დენიტრიფიკაციით და აერობული ბიომასის დარეგულირებით იწარმოება ჰიდრობიონტების საერთო შემადგენლობის გათვალისწინებით მრავალდონიან ინერტულ მატარებელში.

ბიოლოგიური ფორმების არსებობისთვის საჭირო პირობები, რომლებიც ითვსებენ ორგანულ და არაორგანულ დაბინძურებას ბიოლოგიურად აქტიური ბიომასის „ნამატის“ გარეშე, იქმნება «TOP» ბიო-მოდულში გარემოზე დარეგულირებული ზემოქმედების საშუალებით.

«ISBS» ბიოტექნოლოგია აყალიბებს ჩამდინარე წყლის წმენდის მრავალდონიან პროცესს ბიოლოგიურად აქტიური ბიომასის „ნამატისა“ და ჭარბი ბიოლოგიური ლამის გარეშე, შედეგად კი მყარ-თხევადი ფაზის გამოყოფისა და ჩამდინარე წყლის ბიოლოგიური წმენდის პროცესის შემდეგ შლამის გამოშრობის საჭიროება აღარ იქმნება.

შესაბამისად, ჩამდინარე წყლის ბიოლოგიური წმენდის «ISBS» პროცესი ჩანერგილი «MCBR» ბიორეაქტორში წარმოადგენს ბიოტექნიკის მოდელის კომბინაციას, რომელიც ბუნებრივ აუზში, კერძოდ კი მდინარეებში (მაგრამ უფრო ინტენსიური წმენდის პროცესის მაჩვენებლებლით) წარმოშობილი თვით-წმენდის პროცესის სიმულაციას ახდენს.

რეაქტორზე მოსული ჩამდინარე წყლების მაქსიმალური დასაშვები ჟბმ გამოითვლება ფორმულით

$$\text{ჟბმ}_{\text{დას.}} = K \times \text{ჟბმ}_{\text{გაწმ.}}, \text{ სადაც}$$

ჟბმ_{გაწმ.} - გაწმენდილი წყლის ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნილებაა და შეადგენს 25 მგ/ლ

K - კოეფიციენტი, რომელიც მიიღება ჩამდინარე წყლების საშუალო ტემპერატურისათვის (+10°C-დან +14°C-მდე ზამთრის პირობებში) და K=9,6 მაშინ

$$\text{ჟმ}_{\text{დას.}} = 9,6 \times 25 = 240 \text{ მგ/ლ}$$

შესაბამისად აეროფილტრზე მისაწოდებელი ჩამდინარე წყლის ხარჯი გამოითვლება ასე

$$q_{\text{რეაქტ.}} = \frac{77 \times 428}{240} = 137 \text{ მ}^3/\text{სთ}$$

იმისათვის, რომ მაქსიმალური საათური ხარჯი 300 მ³/სთ დაყვანილ იქნას 137 მ³/სთ-ზე ეწყობა გამათანაბრებელი ნაგებობა (ათანაბრებს როგორც ჩამდინარე წყლის ხარჯს, ისე მისი დაბინძურების კონცენტრაციას).

გამათანაბრებელი ნაგებობის საჭირო მოცულობა გამოითვლება ფორმულით

$$W_{\text{გამთ.}} = Q_{\text{დღ.}} \left[1 - K_{\text{გად}} + (K_{\text{მოდ.}} - 1) \left(\frac{K_{\text{გად}}}{K_{\text{მოდ.}}} \right)^{K_{\text{მოდ.}}/K_{\text{მოდ.}} - 1} \right] \text{ მ}^3$$

სადაც Q_{დღ.} - ჩამდინარე წყლების საშუალო დღეღამური ხარჯია და Q_{დღ.}=1850 მ³/დღ

K_{გად.} - აეროფილტრზე გამათანაბრებელიდან მიწოდებული წყლის უთანაბრობის კოეფიციენტი და K_{გად.} = $\frac{137}{77} = 1,8$

K_{მოდ.} - გამათანაბრებელში მოდინებული ჩამდინარე წყლების უთანაბრობის კოეფიციენტი და K_{მოდ.} = 3,2 მაშინ

$$W_{\text{გამთ.}} = 1850 \left[1 - 1,8 + (3,2 - 1) \left(\frac{1,8}{3,2} \right)^{3,2/3,2 - 1} \right] = 262 \text{ მ}^3$$

მიღებული სამკორიდორიანი გამათანაბრებლის მოცულობაა 262 მ³. (საკუთრივ გამათანაბრებელი და წინამდებარე ნაგებობები).

რადგან ჩამდინარე წყლების საშუალო კონცენტრაცია (ჟმ-ის მიხედვით) 428 მგ/ლ, ამიტომ უნდა დადგინდეს რეცირკულაციის კოეფიციენტი

$$n = \frac{\text{ჟმ} - \text{ჟმ}_{\text{დას.}}}{\text{ჟმ}_{\text{დას.}} - \text{ჟმ}_{\text{გაწმ.}}}, \text{ სადაც}$$

ჟმ - ჩამდინარე წყლის საწყისი ჟმ-ა და უდრის 428 მგ/ლ-ს

ჟმ_{დას.} - რეაქტორზე მისაწოდებელი წყლის დასაშვები ჟმ-ია და უდრის 240 მგ/ლ ე.ი.

$$n = \frac{428 - 240}{240 - 25} = 0,87$$

რეაქტორის საჭირო ფართობი გამოითვლება ფორმულით

$$F = \frac{Q_{\text{დღ.}}(n+1)\text{ჟმ}_{\text{დას.}}}{N} \text{ მ}^2, \text{ სადაც}$$

N - რეაქტორის 1 მ²-ზე დასაშვები დატვირთვაა გ/მ² დღ

ჟმ-ის მიხედვით და მიიღება N=3000 გ/მ² დღ (სნ და წ II-რ.6-62) მაშინ

$$F = \frac{1850 \times (0,87+1) \times 240}{3000} = 277 \text{ მ}^2$$

ერთი ტიპური სექციის „ნეტო“ ფართობია (7,3×4,7) 34,3 მ² აქედან გამომდინარე სექციების საერთო რაოდენობა იქნება

$$n_{\text{სექც.}} = \frac{277}{34,3} = 8 \text{ სექცია}$$

მიღებულია 8 სექცია, მათგან პირველი ფაზისათვის მუშა იქნება 7, ხოლო მეორე ფაზაში კი 8.

სექციის მუშა სიმაღლე შეადგენს ~4,5 მ-ს, მაშინ ერთი სექციის მოცულობა იქნება $34,3 \times 4,5 = 154,4 \text{ მ}^3$, ხოლო მთელი რეაქტორის მოცულობა კი $154,4 \times 8 = 1235 \text{ მ}^3$.

რეაქტორზე მიწოდებული ჰაერის დღეღამური მოცულობა გამოითვლება ფორმულით

$$Q_{\text{ჰაერ.დღ}} = Q_{\text{დღ}} \times \frac{2 \times \text{ჟმმ}}{K \times H} \text{ მ}^3/\text{დღ} \text{ სადაც}$$

$Q_{\text{დღ}}$ - ჩამდინარე წყლების დღეღამური ხარჯია და $Q_{\text{დღ}} = 1850 \text{ მ}^3/\text{დღ}$

ჟმმ - ნედლი ჩამდინარე წყლის ჟმმ-ია და უდრის 428 მგ/ლ

K - რეაქტორის სიმაღლეა და H=4 მ, მაშინ

$$Q_{\text{ჰაერ.დღ}} = 1850 \times \frac{2 \times 428}{6 \times 4} = 66000 \text{ მ}^3/\text{დღ}$$

ჰაერსაბერველების ჯამური წარმადობა გამოითვლება ფორმულით

$$Q_{\text{ჰაერ.სთ}} = F \times I \text{ მ}^3/\text{სთ}, \text{ სადაც}$$

I - აერაციის ინტენსივობაა და მოცემული შემთხვევისათვის $I = 6,7 \text{ მ}^3/\text{მ}^2$ (სნ და წ II-რ.6-62 ცხრ 41), მაშინ

$$Q_{\text{ჰაერ.სთ}} = 277 \times 6,7 = 1856 \text{ მ}^3/\text{სთ}$$

5.8 ფოსფორის მოცილება

ფოსფორის საწყისი შემცველობა ჩამდინარე წყლებში შეადგენს 13 მგ/ლ. ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობების მიხედვით უნდა დავიყვანოთ 2 მგ/ლ-მდე. ჩამდინარე წყლების წმენდა ფოსფორისაგან სწარმოებს ფიზიკო-ქიმიური მეთოდით - კოაგულაციით კოაგულანტად მიღებულია რკინის ქლორიდი $\text{Fe}(\text{Cl})_3$.

ბიოლოგიური წმენდის შემდეგ ჩამდინარე წყლები ხვდება ფოსფორისგან წმენდის ბლოკში, რომლის შემდგენლობაში შედის 1) კორიდორული ტიპის აერირებული შემრევი კოაგულანტის შესარევად, 2) ვერტიკალური (თხელკედლიანი ჩანართით) სალექარი, 3) სარეაგენტო მეურნეობა და 4) ლამის გამოშრობა.

5.9 კორიდორული ტიპის აერირებული შემრევი (სტატიკური)

შემრევიში სწარმოებს რეაქტორზე გაწმენდილი ჩამდინარე წყლებისა და რეაგენტების (კოაგულანტი $\text{Fe}(\text{Cl})_3$ და ფლოკულანტი ΠΑΜ) ხსნარის შერევა. შერევის პირობების გასაუმჯობესებლად ხდება ჰაერის მიწოდებაც.

შემრევს აქვს ღია არხის (კორიდორის) ფორმა, რომელიც სამ მონაკვეთად არის დაკეტილი. შემრევის მთლიანი მოცულობა გამოითვლება ფორმულით

$$W_{\text{შემრ}} = \frac{q_{\text{მაქ.სთ.სვ}} \times t}{60} \text{ მ}^3, \text{ სადაც}$$

$q_{\text{მაქ.სთ.სვ}}$ - სველ ამინდში ჩამდინარე წყლების მაქსიმალური საათური ხარჯია „სველ“ ამინდში და $q_{\text{მაქ.სთ.სვ}} = 300 \text{ მ}^3/\text{სთ}$

t - რეაგენტის - $Fe(Cl)_3$ - წყალთან შერევის დროა და t=2 წთ

$$W_{შერ} = \frac{300 \times 2}{60} = 10 \text{ მ}^3$$

შემრევის კორიდორების მთლიან სიგრძეს თუ მივიღებთ 12 მ-ს (3 კორიდორი დაკეცილი 4-4 მეტრად), მაშინ ნაკადის განივკვეთის ფართობი იქნება $\frac{10}{12} = 0,84 \text{ მ}^2$, კოროდიროს სიგრძე მიღებულია 0,7 მ, მაშინ წყლის დგომის სიმაღლე შემრევაში იქნება $\frac{0,84}{0,7} = 1,2 \text{ მ}$.

ვინაიდან გამთანაბრებლის შემდეგ ჩამდინარე წყლების ნაკადი შეადგენს არა 300, არანედ 137 მ³/სთ ამიტომ შემრევაში ამ დროს შევსება ტოლი იქნება $\frac{1,2 \times 137}{300} = 0,59 \text{ მ-ის}$, ხოლო საშუალო დღეღამის საშუალო საათური ხარჯისას ($77 \text{ მ}^3/\text{სთ}$) - $\frac{1,2 \times 77}{300} = 0,31 \text{ მ}$.

დეფოსფორიზაციის შემრევის სისტემა გულისხმობს: შემრევს, დოზირების ტუმბოს, მარეგულირებელ სარქველს, საოპერაციო პანელს.

სერვისცენტრ №3-ში განთავსებულია ფლოკულანტის 2 ავზი ($2 \times 2 \text{ მ}^3$ მოცულობის) და 2 ავზი ($2 \times 10 \text{ მ}^3$ მოცულობის) კოაგულანტისთვის თავისი დოზირების ტუმბოებით.

5.10 ვერტიკალური სალექარი (თხელკედლიანი ჩანართით)

სალექრის ზედაპირის ფართობი გამოითვლება ფორმულით (დამპროექტებლის ცნობარი 1977 წ. წყალმომარაგება პ. 20.5)

$$F = \beta \frac{q_{რექტ}}{3,6 \times V_{საანგ} \times N} \text{ მ}^2, \text{ საადაც}$$

β - სალექრის ზედაპირის გამოყენების კოეფიციენტი და $\beta=1,3$

$q_{რექტ}$ - ჩამდინარე წყლების საშუალო საათური ხარჯია (რექტორიდან გამოსული) და $q_{რექტ} = q_{საშ} = 77 \text{ მ}^3/\text{სთ}$ ($1850:24=77 \text{ მ}^3/\text{სთ}$)

$V_{საანგ}$ - სალექარში აღმავალი ნაკადის საანგარიშო სიჩქარეა და $V_{საანგ} = 0,9 \text{ მმ/წმ}$ (როცა შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაციაა 20 გ/მ^3 და კოაგულაცია ხდება რკინის ქლორიდით)

N - ვერტიკალური სალექრების რაოდენობაა და N=1 ე.ი.

$$F = 1,3 \frac{77}{3,6 \times 0,9 \times 1} = 31 \text{ მ}^2$$

სალექრის დიამეტრი $D = 2\sqrt{31/3,4} = 6,28 \text{ მ}$

სარეაგენტო მეურნეობაში ხდება კოაგულანტის $Fe(Cl)_3$ ხსნარის მომზადება, რომელიც მილსადენებით მიეწოდება შემრევის წინ.

5.11 ლამის გაუწყლოვნება (ფოსფორის მოცილება)

ვერტიკალურ სალექრებში გამოყოფილი ნალექი იგზავნება ფილტრ-პრესზე, საიდანაც მიღებული მასა იფუთება ხოლო ფილტრატი უბრუნდება ძირითად ნაკადს.

ფილტრ-პრესზე მიეწოდება ნალექი FePO_4 ვერტიკალური თხელკედლიანი სალექრიდან $q=0.39$ მ³/დღ რაოდენობით 80% წყალშემცველობით.

ფილტრ-პრესზე გავლის შემდეგ მისი ტენიანობა მცირდება 60%-მდე, შესაბამისად მასის მოცულობა შემცირდება $\frac{100-60}{100-80} = 2$ ჯერ და იქნება $\frac{0.39}{2} = 0,2$ მ³/დღ, რაც წელიწადში შეადგენს 73 მ³-ს.

ფილტრ-პრესის წარმადობაა 0,13 მ³/სთ. ე.ი ფილტრ-პრესი იმუშავებს $t=0.39:0.13=3$ სთ

ფილტრ-პრესის მოთხოვნილი სიმძლავრეა 2,2 კვტ.

ნალექის მიმწოდებელი ტუმბო 1,3 მ³/სთ ხარჯით არის შერჩეული. დაპროექტებულია 2 ტუმბო. 1 მუშა, 1 რეზერვი, ფილტრ-პრესში წარმოშობილი ნარჩენი სითხე -ფუგატი გადაიტუმბება მცირე წარმადობის ტუმბოთი ($q=1$ მ³/სთ) გამწმენდის დასაწყისში, შნეკური გისოსის შემდეგ რკ/ბ-ის არხში.

5.12 ულტრაბგერითი დასხივება

გაწმენდილი წყლის გაუვნებელყოფისათვის შერჩეულია UV აპარატი წარმადობით 80 მ³/სთ; პროექტით გათვალისწინებულია ორი ულტრადასხივების აპარატი- ერთი მუშა, ერთი რეზერვი. ისინი განთავსებულია სევისცენტრის მე-4 შენობაში. დასხივებული წყალი გროვდება გაწმენდილი წყლის ავზში.

5.13 სალამე ფარდული

პროექტი ითვალისწინებს გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე სალამე ფარდულის მოწყობას, რომლის GPS კოორდინატებიც მოცემულია გზშ-ის ანგარიშზე თანდართულ გენ.გეგმაზე. სალამე ფარდულში მოხდება გამწმენდ ნაგებობებში გამოყოფილი ლამის დასაწყობება. წარმოქმნილი ლამის მოცულობა დაახლოებით იქნება 279მ³/წელ.

როგორც ნავარაუდევია, ლამის გატანა მოხდება წელიწადში სამჯერ. მაშინ ერთი გატანის მოცულობაა $279\text{მ}^3/3=93$ მ³

ლამის დახურული ფარდულის ზომებია 10x14.3x3. ერთ მ²-ზე განთავსდება $\frac{93}{10 \times 14.3} = 0.65$ მ³ მოცულობა.

კომპანიის მიერ, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციაში შესვლისა და ლამის წარმოქმნის შემდგომ, განხორციელდება ლამის შემადგენლობის ფიზიკურ/ქიმიური მახასიათებლებისა და ჟონვადობის არასახიფათო თვისებების დადასტურება შესაბამისი ანალიზით, აკრედიტირებული ლაბორატორიის მიერ, ხოლო, დამატებითი შესწავლის შემდგომ, რომლითაც დადგინდება ლამის სახიფათოობის მაჩვენებელი, საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვრება შემდგომი შესაბამისი ღონისძიებები.

ამასთან, აღნიშნული ლამი ჩაიყრება შესაბამისი ტევადობის მქონე ჰერმეტიკულად დახურულ კონტეინერში/ბიდონში, რომელიც განთავსებული იქნება სალამე ფარდულში.

5.14 ბიოტექნოლოგიის თეორიული საფუძვლები - ბიოლოგიური პროცესის აღწერა

ISBS - ტექნოლოგია [ინტეგრირებული სივრცითი-კონიუგირებული ბაქტერიული სისტემა] ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური წმენდისთვის არის სამგანზომილებიანი-მოწყვრიგებული ბიოლოგიური რიგი ტექნოლოგიური ქვედანაყოფების კომპლექტით, ქვესისტემებით, თანმიმდევრულად აწყობილი აღჭურვილობითა და მრავალეტაპიანი წმენდის პროცესის უზრუნველყოფით.

«ISBS»-ის მთავარი პრინციპი - «ISBS»-ის ტექნოლოგია მოდულური ტიპის კომბინირებულ ბიოლოგიურ რეაქტორში («MCBR») ქმნის სივრცით-კონიუგირებულ ბაქტერიას კოლონიების რიგს ქვესისტემების გამოყენებით, რომელიც მოიცავს სამგანზომილებიან ძაფისებრ ნაკრებს და ჩამენებულ ჰაერის გაფრქვევის მოწყობილობას.

ზემოთ ნახსენები სხვადასხვა ტიპის მიკროორგანიზმების სივრცით-კონიუგირებული რიგი გაერთიანებულია «MCBR»-ში მულტი-კლასტერების გამოყენებით, რომელიც მოიცავს მრავალდონიან, მრავალბოჭკოვან, შესაბამისად აერირებულ ინერტულ მატარებელს.

სხვადასხვა იმობილიზებული ბაქტერიების გაერთიანება და „უმაღლესი რიგის“ მტაცებლების კოლონიები (პროტოზოინური) თანმიმდევრულად ვრცელდება დროსა და სივრცეში (სივრცულ-დროებითი განაწილება, სივრცულ-დროებითი კლასტერიზაცია).

«ISBS» პროცესის მთავარ ელემენტს წარმოადგენს ბიოლოგიური რეაქტორის შიგნით სხვადასხვა იმობილიზებული მიკროორგანიზმების მოქნილი თვით-ადაპტური სიმბიოზური ასოციაციების უწყვეტი ფორმირება და თავისუფლად მცურავი "უმაღლესი რიგის" მტაცებლების კოლონიები (პროტოზოები). ეს მიკროორგანიზმები თანმიმდევრულად ნაწილდება და ხდება მათი ოპერატიული დაკავშირება დროსა და სივრცეში (სივრცულ-დროებითი განაწილება, სივრცულ-დროებითი კლასტერიზაცია). ამ პროცესის შედეგად იქმნება „კვებითი კასკადის ეფექტი“ (ზემოდან ქვემოთ და ქვემოდან ზემოთ).

ჩამდინარე წყლის მუდმივი ბიოლოგიური წმენდის პროცესის შედეგად ორგანულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაცია საგრძნობლად იკლებს. რეაქტორის ბიო-

მოდულში გარემოს ოპტიმალური პირობები იცვლება და შეესაბამება მიკროორგანიზმების გარკვეულ სახეობებს. სივრცობრივად დაკავშირებულ («TOP») ბიო-მოდულში ერთი ბაქტერიული სიმბიოზის გაერთიანება და მტაცებლების კვებითი ჯაჭვი იცვლება სხვა ოპერატიულად დაკავშირებული მომდევნო კვებითი ჯაჭვით.

ჟანგვა-აღდგენის პროცესის სივრცობრივ სიმბიოზური თანმიმდევრობა თავს იჩენს ბაქტერიათა აქტიურობისას, რომელიც მხარდაჭერილია სტაბილური ზრდის (ეგრეთ წოდებული პლატო, ჩამოყალიბებული ბაქტერიული კულტურა) პირობით და დამოკიდებულია დეოქსიგენაციის მუდმივ სიდიდეზე, ისევე როგორც დიფუზიის კოეფიციენტსა და საკვები ნივთიერებების არსებობაზე ეკზოენზიმებისთვის.

თავისუფლად მცურავი და იმობილიზებული მიკრო-ორგანიზმების სიმბიოზური გაერთიანება მრავალდონიან (მრავალბოჭკოვან) ინერტულ მატარებელში და თავისუფლად მცურავი პროტოზოინური კოლონიები გაერთიანებულია რეაქტორის კორპუსში სივრცით-დროითი აერირებული და არა-აერირებული «TOP» („სამგანზომილებიანი მოწესრიგებული პაკეტი“) ბიო-მოდულების დახმარებით, რომელსაც მეორენაირად თვითკმარ ბიომოდულებსაც უწოდებენ.

სივრცით-დროის კვებითი კასკადის ეფექტი იქმნება სივრცით-დროის მულტი-კლასტერებით (ბიო-მოდულებით), იმობილიზებული ბაქტერიული კოლონიებით, თავისუფლად მოცურავე მიკროორგანიზმებით და "უმაღლესი რიგის" მტაცებლების კოლონიებით (პროტოზოინური).

სივრცით კონიუგირებული მულტი-კლასტერები მიკროორგანიზმების სიმბიოზური გაერთიანებით უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლის ეტაპობრივ, მრავალსაფეხურიან წმენდის პროცესს.

ინტეგრირებული სივრცითი-კონიუგირებული ბაქტერიული სისტემა ძირითადად ყალიბდება დინამიურ მრავალდონიან ინერტულ მატარებელში [D.M.I.S.] და ანოქსიურ მრავალდონიან ინერტულ მატარებელში [A.M.I.S.] არსებული მიკროორგანიზმებით და გაცილებით ნაკლებია რეაქტორის სუბსტრატებში შეწონილი ბაქტერიული კოლონიების წილი. თავისუფლად მცურავი და იმობილიზებული მიკრო-ორგანიზმების სიმბიოზური გაერთიანება მრავალდონიან (მრავალბოჭკოვან) ინერტულ მატარებელში და თავისუფლად მცურავი პროტოზოინური კოლონიები გაერთიანებულია რეაქტორის კორპუსში სივრცით-დროითი აერირებული და არა-აერირებული «TOP» („სამგანზომილებიანი მოწესრიგებული პაკეტი“) ბიო-მოდულების დახმარებით.

ორგანული დაბინძურების ბიოლოგიური რღვევა, ასევე ორგანული და არაორგანული აზოტის ბიოლოგიური დაჟანგვა მიმდინარეობს თავისუფლად მცურავი და იმობილიზებული ბაქტერიებით მრავალდონიან (მრავალბოჭკოვან) ინერტულ მატარებელში.

განსაზღვრული ბიომასის კონცენტრაცია და ბაქტერიული კოლონიების კონკრეტული სახეობების შემადგენლობა, რომელიც იმობილიზებულია [D.M.I.S.]-სა და [A.M.I.S.]-ში შეზღუდულია ისეთი პარამეტრებით, როგორცაა ნიტრატ-აზოტი, გახსნილი ჟანგბადი როგორც ელექტრონის მიმღები და ორგანული და არაორგანული მკვებავი ნივთიერებები. ეს პარამეტრები კონტროლირებადი ცვლადებია, როგორც «TOP» ბიომუდულისთვის ისე «MCBR»-სთვის, რომელიც მრავალმოდულიან სისტემას წარმოადგენს (რთული ტექნოლოგიური ერთეულების ერთობლიობა).

შესაბამისად, ბიოლოგიურად აქტიური ბიომასის კონცენტრაცია და ბაქტერიული კოლონიების სახეობები "MCBR"-ში შეიძლება განსხვავდებოდეს სივრცით-დროითი "TOP" ბიომოდულის მითითებულ საზღვრებში ჩამოყალიბებული გარემოს შესაბამისად.

თავისუფლად მოცურავე და მიმაგრებული ბაქტერიული კოლონიების დაბალანსებული, თვითრეგულირებადი, პროცესის სტაბილური ზრდა და ბაქტერიოლოგიური ბიორეაქტორში მათი არსებობისათვის ოპტიმალური პირობების შექმნას უზრუნველყოფს.

ასეთი «ISBS» პროცესის სტრუქტურით აქტიური ბიომასის კონცენტრაცია «MCBR»-ში მატულობს $5 \div 7$ ჯერ ტრადიციულ აეროაზოტთან შედარებით. ეს იძლევა საშუალებას რომ ბიოლოგიური წმენდის პროცესის პროდუქტიულობა გაორმაგდეს და ჩამდინარე წყლის ჰიდრავლიკური დაყოვნების დრო განახევრდეს.

ეს უპირატესობები მნიშვნელოვანია მაღალი კონცენტრაციის ჩამდინარე წყლების წმენდისას, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია ბიომასის კონცენტრაციის მაღალი დონის შენარჩუნება ბიორეაქტორში. «ISBS» ნორმალური მუშაობის დროს «TOP» ბიომოდულის გამოყენებისას, შესაბამისად დაპროექტებული პროცესის მეშვეობით ბიორეაქტორში ხდება შეწონილი ორგანული ლამის სრული მინერალიზაცია. ნედლი ორგანული ლამის რაოდენობა (გამოთვლილი მშრალ საფუძველზე) საბოლოო გამავალ ხაზზე $150 \div 300$ ჯერ ნაკლებია ვიდრე სხვა არსებულ ტრადიციულ ტექნოლოგიებში. შესაბამისად, დამატებითი აღჭურვილობა ნალექისათვის ან ჭარბი ბიოლოგიურად აქტიური ბიომასის რეცირკულაციისათვის, ან მოწყობილობა ლამის გაუწყლოვანებისა და მისი ტრანსპორტირებისთვის პრაქტიკულად საჭირო არ არის.

შენიშვნა:

ISBS - ბიოტექნოლოგია ორგანული ნაერთების სრული მინერალიზაციისათვის ქმნის პირობებს, შეწონილი ბაქტერიული უჯრედების აერობული სტაბილიზაციის ჩათვლით, რომელიც წარმოიქმნება ბიოაფსკის ცვეთით და ასევე უჯრედების დაშლა-დაყოფმრავალეტაპიანი «ISBS» პროცესი ხელს უშლის გადაჭარბებული ბიომასის წარმოქმნას და დაგროვებას. ჩამდინარე წყლები მიედინება «TOP» ბიო-მოდულების გავლით პირდაპირი

დინების რეჟიმში. თვითგამწმენდა მიმდინარეობს ბუნებრივი პროცესების ანალოგიურად, როგორც ბუნებრივ წყლებში, მაგალითად მდინარეებში.

ბიომასის „ნამატის“ არააუცილებლობის მთავარი დამადასტურებელია აგრეთვე გაწმენდილ ჩამდინარე წყლებში ფოსფორის კონცენტრაციის ანალიზი. იმ შემთხვევაში თუ მოხდა ჩამდინარე წყლის ბიოლოგიური წმენდა ჭარბად დაგროვებული ბიომასის გარეშე, ფოსფორის საერთო რაოდენობა დამუშავებული წყლის გამყვანზე უნდა უტოლდებოდეს ჩამდინარე წყლის შემყვანზე არსებულ რაოდენობას.

პრაქტიკაში, «MCBR»-ში ასეთი პროცესის წარმართვის ერთ-ერთი მტკიცებულება ისაა რომ ფოსფორის კონცენტრაცია შემყვანზე უტოლდება ფოსფორის კონცენტრაციას დამუშავებულ წყალში (აქტივირებული ლამის გამყვანი). ეს გვიჩვენებს, რომ არ ფიქსირდება ნამატი და ჭარბი ბიომასის დაგროვება და შესაბამისად არ ხდება ფოსფორის დაგროვება რაიმე ბიოლოგიური გზით.

ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტრადიციულ ნაგებობებში (მაგ: ჩამდინარე წყლის დაჟანგვის აუზი, აქტიური ლამის ავზი, SBR, MBR, MBBR, და სხვა.) ჭარბი ბიოლოგიური ლამის მოცულობა დამოკიდებულია ჩამდინარე წყლების შემადგენლობაზე და მისი ხარჯის საშუალოდ 1.5% და 5% შეადგენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბიოლოგიური წმენდის ამგვარი პროცესი, რომელსაც მივყავართ ჭარბი ბიოლოგიური ლამის მუდმივი „ნამეტისკენ“ მოითხოვს ციკლიდან მის ამოღებასა და დამატებით დამუშავებას.

შენიშვნა:

ISBS-ტექნოლოგია საშუალებას იძლევა თავიდან აცილებულ იქნას პრობლემები, რომლებიც მომდინარეობს ჰიდრაულიკური და დაბინძურების ხარისხის სეზონური რყევებიდან ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობის მუშაობის პერიოდში.

ჰიდრაულიკური და დაბინძურების ხარისხის მნიშვნელოვანი სეზონური რყევები გავლენას არ ახდენს გაწმენდის ხარისხზე, რადგან წყლის ნაკლები ნაკადის მიწოდების ან საერთოდ არ მიწოდების შემთხვევაში, ბიოლოგიური წმენდის სისტემა ინარჩუნებს თავის ფუნქციებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

ჰიდრაულიკური დატვირთვის ხანგრძლივი სეზონური შემცირების ან წყლის არ მიწოდების შემთხვევაში ბიორეაქტორის გარკვეული სექციები ითიშება (მიწოდებული წყლის შემცირებული რაოდენობის პროპორციულად), ასევე ითიშება გარკვეული რაოდენობის ჰაერსაბერავი.

ნებისმიერი შემთხვევისას ბიორეაქტორის ნებისმიერი სექციის გათიშვის შემდეგ (დაგეგმილი ან დაუგეგმავი), ახალი ბიომასის ჩატვირთვის აუცილებლობა, ჰაერსაბერავისთვის ოპერაციის პარამეტრების ხელახლა შერჩევა, და ჰაერის მიწოდების რეგულირება საჭირო არ არის.

ბაქტერიული შტამები თითოეული ბიომოდულის კონკრეტულ გარემოზე ადაპტირებული კარგად ნარჩუნდება ინერტულ მატარებელზე (სპორები, კისტები, კაფსულები, და სხვა).

ბიორეაქტორის სექციებში წყლისა და ჰაერის განახლების შემდეგ მიკროორგანიზმები აღადგენენ თავიანთ სასიცოცხლო აქტივობას 6-8 საათის განმავლობაში.

ბიორეაქტორის სექციის ჩამდინარე წყლებით შევსების შემდეგ, წმენდისთვის საჭირო პარამეტრები აღწევენ საპროექტო მოცულობას რამდენიმე საათში.

«ISBS» ტექნოლოგიის მნიშვნელოვანი უპირატესობები:

- სრული ავტომატური ბიოლოგიური პროცესი;
- შეცდომის გამომრიცხავი სისტემა;
- დამოუკიდებელი სისტემა;
- კაპიტალური რემონტი არ არის მოსალოდნელი;
- საჭირო არაა ქიმიური რეაგენტები;
- მემბრანები არ საჭიროებენ გასუფთავებას ან განახლებას;
- ბიორეაქტორში არ არის ელექტრომექანიკური მოწყობილობები

მოდულური ტიპის კომბინირებული ბიოლოგიური რეაქტორის მნიშვნელოვანი უპირატესობებია:

- «ISBS» ტექნოლოგია გამოიყენება დაბინძურების განსხვავებული კონცენტრაციის მქონე კანალიზაციისთვის (საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო), მცირე მოცულობების გასაწმენდად, მაგალითად 50 მ³/დღე-დან საშუალო მოცულობამდე (1000 მ³/დღე) და დიდი მოცულობებისთვის (20,000 მ³/დღე-დან ზემოთ);
- ჭარბი აქტიური ლამის დაგროვება 100÷300 ჯერ ნაკლებია სხვა არსებულ ტექნოლოგიებთან შედარებით;
- დამატებითი სისტემები ჭარბი აქტიური ლამის რეცირკულაციისთვის საჭირო არ არის;
- ჭარბი აქტიური ლამის წმენდა არ არის აუცილებელი;
- ჩამდინარე წყლების წმენდის დრო მნიშვნელოვნად მცირდება;
- მრავალდონიანი ინერტული ზედაპირის პირველადი თვისებების აღდგენის სისტემები და ბაქტერიების დამატებითი კვება საჭირო არ არის;
- ნიტრიფიკაცია, დენიტრიფიკაცია და აერობული ბიომასის სტაბილიზაცია წარმოებს «TOP» ბიომოდულში, რაც აღმოფხვრის დამატებით გამწმენდ სისტემებს;
- შეცდომის გამომრიცხავი სისტემა და მაღალი საიმედოობის ხარისხი;
- საოპერაციო უსაფრთხოება;
- სრულად ავტომატური მართვა;

- ახასიათებს მდგრადობა წყლის ნებისმიერი ხარისხის მაჩვენებლის მკვეთრი მერყეობისას;
- პროცესის სტაბილურობა და მდგრადობა;
- ფუნქციონალური სიმარტივე და ხანგრძლივობა;
- არასასიამოვნო სუნის არარსებობა;
- დაბალი საშუალო ენერგო ხარჯები გაწმენდილი წყლის 1 მ³ -თვის;
- სამშენებლო ტერიტორია არ არის დიდი;

5.15 ჩამდინარე წყლის ბიოლოგიური წმენდის პროცესის აღწერა

ბიოლოგიური წმენდის პროცესის ძირითადი პრინციპები ISBS - ბიოტექნოლოგიის შესაბამისად :

ა) ჩამდინარე წყლის წმენდის ბიოლოგიური პროცესი ხორციელდება პირდაპირი დინების, აერირებულ «MCBR»-ში - [მოდულური ტიპის კომბინირებულ ბიოლოგიურ რეაქტორში] წმენდის პროცესის საწყის ეტაპზე ბიომასის რეცირკულაციის გარეშე.

ბ) ISBS - ტექნოლოგიის მთავარი პრინციპია ბაქტერიული კოლონების სივრცითი-კონიუგირებული სისტემის სტადია (ISBS) კომბინირებულ ბიოლოგიურ რეაქტორში, ქვედანაყოფების გამოყენებით, რომელიც შეიცავს სამგანზომილებიან მოწესრიგებულ ძაფისებრ ნაკრებს და ჩაშენებულ ჰაერის გაფრქვევის მოწყობილობას. ორგანული დაბინძურების ბიოდეგრადირება, აგრეთვე ორგანული და არაორგანული აზოტის ბიოლოგიური დაჟანგვა ხორციელდება ინერტულ მატარებელზე დამონტაჟებული შეწონილი და დამაგრებული ბიომასით.

გ) «MCBR» არის ბეტონის ან ლითონის ავზი გაყოფილი რამდენიმე ტექნოლოგიურ ნაწილად. «TOP» ბიომოდულები დამონტაჟებულია «MCBR»-ის თითოეულ ნაწილში. აერირებული «TOP» ბიომოდულები ივსება მრავალდონიანი, სამგანზომილებიანი-მოწესრიგებული ინერტული ბიო-ფილტრით [D.M.I.S.] და ჩაშენებული, სპეციალურად შემუშავებული დიფუზორებით.

დ) ჩამდინარე წყლის წმენდის ბიოლოგიური პროცესი «MCBR»-ში «TOP» ბიომოდულის მეშვეობით წარმოებს. სამგანზომილებიანი-მოწესრიგებული პაკეტების რაოდენობა განისაზღვრება ჩამდინარე წყლის შემავალი ნაკადისა და დამუშავებული წყლის ხარისხის ტექნოლოგიური პარამეტრებით.

ე) «MCBR» იყოფა აერობულ და ანოქსიურ ზონებად. ის დამოკიდებულია ჩამდინარე წყლის შემადგენლობასა და დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციაზე. აერობული და

ანოქსიური ზონების რიცხვითა შორის თანაფარდობის მერყეობა ასევე დამოკიდებულია ჩამდინარე წყლის შემადგენლობასა და დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციაზე. ნიტრიფიკაცია და დენიტრიფიკაცია (N/D - ამიაკის ჟანგვის პროცესი და ნიტრატების შემცირების პროცესი) ISBS-პროცესის ნაწილს წარმოადგენს. N/D ხორციელდება სამგანზომილებიანი ორიგინალური პაკეტითა და [D.M.I.S.] ბიო-ფილტრით, რომელიც სპეციფიკური ბაქტერიული კულტურისთვის წინასწარაა შერჩეული.

ვ) მრავალდონიანი, სამგანზომილებიანი-მოწესრიგებელი ინერტული ბიო-ფილტრი [D.M.I.S.] ხელს უწყობს ბაქტერიული უჯრედების იმობილიზაციას. [D.M.I.S.]-ის ძაფისებრი სტრუქტურის მთლიანი ზედაპირი შევსებულია მიმაგრებული ბაქტერიული კოლონიებით.

ზ) მიკროორგანიზმის გარკვეული სახეობების მრავალფეროვნების შესაქმნელად [D.M.I.S.] - ის ფიზიკური და მექანიკური თვისებები (მოცულობითი სიმჭიდროვე, ქსოვილის მოცულობა, ზედაპირის სიმჭიდროვე, ასევე გეომეტრიული მახასიათებლები და ზედაპირის ფართობი ბაქტერიული იმობილიზაციისთვის) შეიძლება შეიცვალოს ყველა ცალკეულ «TOP» ბიომოდულში.

თ) წყლიანი გარემო, ასევე ბაქტერიული რიცხვი და ბაქტერიული სახეობები [D.M.I.S.]-ში განსხვავდება თითოეული "TOP" ბიო მოდულისთვის, რაც დამოკიდებულია ოქსიდაციის სიჩქარესა და ჰაერის მიწოდებაზე.

5.16 «ISBS» პროცესის მართვა

ჩამდინარე წყლების დამუშავების პროცესი სრულდება შემდეგნაირად და "ISBS"-ტექნოლოგიის მიერ მოთხოვნილ შემდეგ ძირითად კომპონენტებსა და მექანიზმებს მოიცავს :

ჩამდინარე წყალი სანიტარულ-საყოფაცხოვრებო სათავსებიდან მთელი რიგი შუალედური წყალშემკრები ქსელის გავლით ხვდება გამწმენდი ნაგებობის (LWTP) ძირითად სატუმბ სადგურში.

წმენდის პროცესის მომდევნო ეტაპი: სანამ ჩამდინარე წყალი მიაღწევს მათანაბრებელ აუზს მნიშვნელოვანია ჩამდინარე წყალი გაიფილტროს მექანიკური / პირველადი გამწმენდი სისტემის მეშვეობით. ჩამდინარე წყლები მიეწოდება მათანაბრებელ აუზს ჩადირული ტუმბოების მეშვეობით (საოპერაციო რეჟიმი: მოქმედი / სარეზერვო).

მექანიკური / პირველადი გამწმენდი სისტემა არის თანამიმდევრულად დამონტაჟებული ავტომატური ცხაურებით ღეროებს შორის დაშორებით მაქს. 6 მმ, ბოლო ცხაურის ღრიქის ზომით 1÷2 მმ, და ქვიშის მოცილების სისტემებით (კომბინირებული ან ცალკეული დანადგარები) ნაწილაკების მოსახსნელად რომელიც აღემატება 200 მიკრომეტრს.

მათანაბრებელი ავზი და ჩაძირული მკვებავი ტუმბოები ნედლი ჩამდინარე წყლებისთვის: შემავალი მკვებავი ტუმბოები ჩაძირული ტიპის ტუმბოებია საოპერაციო რეჟიმით: მოქმედი / სარეზერვო დამონტაჟებული მათანაბრებელ ავზში. მკვებავი ტუმბოები ჩამდინარე წყლების მიწოდებას «MCBR»-ში ახდენს მუდმივად;

ნედლი ჩამდინარე წყლების ხარჯშომები დამონტაჟებულია მათანაბრებელ ავზსა და «MCBR»-ს შორის.

«MCBR» [მოდულური ტიპის კომბინირებული ბიოლოგიური რეაქტორი] არის ბეტონის ან ლითონის აუზი გაყოფილი რამდენიმე ტექნოლოგიურ ნაწილად. «MCBR» დაყოფილია აერობულ და ანოქსიურ ზონებად. ის დამოკიდებულია ჩამდინარე წყლებში არსებული დამაბინძურებლების კონცენტრაციაზე. თანაფარდობა აერობული და ანოქსიური ზონების რაოდენობას შორის მერყეობს, რაც ასევე დამოკიდებულია ჩამდინარე წყლებში არსებული დამაბინძურებლების კონცენტრაციაზე. «TOP» ბიომოდულები «MCBR» -ის ყველა ნაწილზე მონტაჟდება. «TOP» ბიომოდულები ივსება მრავალდონიანი, სამგანზომილებიანი - მოწესრიგებული ინერტული [D.M.I.S.] ბიო-ფილტრით და ჩაშენებული, სპეციალურად დაპროექტებული დიფუზორებით. ნიტრიფიკაცია და დენიტრიფიკაცია (N/D - ამიაკის ჟანგვის პროცესი და ნიტრატების შემცირების პროცესი) ISBS-პროცესის ნაწილია. N/D წარმოებს სამგანზომილებიანი ორიგინალური პაკეტითა და [D.M.I.S.]-ით, რომელიც სპეციფიკური ბაქტერიული კულტურისთვის წინასწარაა შერჩეული.

მრავალდონიანი, სამგანზომილებიანი-მოწესრიგებული ინერტული დინამიკური [D.M.I.S.] ბიო-ფილტრი ხელს უწყობს ბაქტერიული უჯრედების იმობილიზაციას. M.I.C.-ის ძაფისებრი სტრუქტურის მთლიანი ფართობი შევსებულია მიმაგრებული ბაქტერიული კოლონიებით. მიკროორგანიზმის გარკვეული სახეობების მრავალფეროვნების შესაქმნელად M.I.C.-ის ფიზიკური და მექანიკური თვისებები (მოცულობითი სიმჭიდროვე, ქსოვილის მოცულობა, ზედაპირის სიმჭიდროვე, ასევე გეომეტრიული მახასიათებლები და ფართობი ბაქტერიული იმობილიზაციისთვის) შეიძლება შეიცვალოს ყველა ცალკეულ «TOP» ბიომოდულში.

[D.M.I.S.] ბიო-ფილტრის დანიშნულება:

- ბაქტერიული უჯრედებისთვის საკმარისი ჟანგბადის მიწოდება;
- ბაქტერიის გადარჩენისთვის მინიმალური პირობების უზრუნველყოფა;
- ბაქტერიული უჯრედების დაცვა "შოკური ზემოქმედებისგან";
- საკმარისი საკონტაქტო ზედაპირის უზრუნველყოფა წყლის საზღვარს, გახსნილ ჟანგბადსა და მრავალდონიან ინერტული მატარებლის ზედაპირს შორის;
- მუშა დინამიური მრავალდონიანი ინერტული მატარებლის ზედაპირის დაცობის პრევენცია.

განსაზღვრული ბიომასის კონცენტრაცია და ბაქტერიული კოლონიების კონკრეტული სახეობის შემადგენლობა, რომელიც იმობილიზირებულია [D.M.I.S.] ბიო-ფილტრზე შეზღუდულია ისეთი პარამეტრებით, როგორცაა გახსნილი ჟანგბადი და მკვებავი ნივთიერებები, რომლებიც კონტროლირებადი ცვლადებია, როგორც «TOP» ბიომოდულისთვის ისე «MCBR»-სთვის, რომელიც მრავალმოდულიან სისტემას წარმოადგენს (კომბინირებული ტექნოლოგიური დანადგარები).

შესაბამისად, ბიომასის კონცენტრაცია «MCBR»-ში და ბაქტერიული კოლონიების სახეობები შეიძლება განსხვავდებოდეს, ამ სივრცით-დროითი ბიომოდულების მითითებულ საზღვრებში ჩამოყალიბებული გარემოს შესაბამისად.

გარემო (ორგანული და არაორგანული დამაბინძურებლების ხარისხი და რაოდენობა წყალში) განსხვავდება თითოეული "TOP" ბიომოდულშიც, ჰაერის კონტროლირებადი ვარიაციების, «MCBR»-ში მიწოდებული დამაბინძურებლების, დამაბინძურებელი ნივთიერებების ჟანგვის სიჩქარის, ბიომასის კონცენტრაციისა და ბაქტერიული კოლონიების სახეობების შემადგენლობის შესაბამისად.

ყოველი «TOP» ბიომოდული (სამგანზომილებიანი-მოწესრიგებული რიგი) აღჭურვილია სპეციალურად შემუშავებული, ჩამენებული, კონტროლირებადი აერაციის სისტემით (წვრილბუმტოვანი დიფუზორები).

ჟანგბადის მოთხოვნა "TOP" ბიომოდულში რეგულირდება (ავტომატურად ან ხელით) ვანტუზებით, რომლებიც მდებარეობს მთავარ გამანაწილებელ ჰაერსადენზე. მოწოდებული ჰაერის დარეგულირება ძირითადად წარმოებს სპეციფიკური მიკროორგანიზმების გამოყვანისა და ადაპტაციისას, რაც შეესაბამება გამწმენდი პროცესის ამოცანებსა და ეტაპებს. გარემოში მიკროორგანიზმების ადაპტაციის შემდეგ ვანტუზები ფიქსირებულ პოზიციაზე რჩებიან.

«MCBR» - ის სექციებში არ არის ელექტრომექანიკური მოწყობილობები. შერევა, ბარბოტაჟი და ჰაერის დისპერგაცია დიფუზორებითა და სპეციალურად დაპროექტებული მრავალდონიანი ინერტული ზედაპირით წარმოებს.

დამუშავებული წყალი თვითდინებით მიედინება სექციიდან სექციისკენ. ბიორეაქტორში არსებული წყალი მიედინება კლაკნილი ხაზით, კერძოდ - მიედინება ზედა და ქვედა გადასასხმელ ფანჯრებს შორის, რომლებიც რეაქტორის ტიხრებში მდებარეობს.

ნიტრიფიკაციისა და დენიტრიფიკაციის პროცესი (N/D) ISBS-პროცესის ნაწილია, მიწოდებული ჟანგბადის რაოდენობისა და [D.M.I.S.] ბიო-ფილტრზე ბიო აფსკის სისქის მიხედვით.

ჰაერმზერავები წმენდის პროცესისთვის მდებარეობს ტექნიკურ ოთახში. ჰაერსაბერის საოპერაციო რეჟიმი: მუშა/ სათადარიგო.

LWTP-ს ავტომატური ოპერაციის ძირითადი პანელი (ჰაერსაბერების მუშაობა, ტუმბოები, მექანიკური/პირველადი წმენდა და სადეზინფექციო დანადგარი) ტექნიკურ ოთახში მდებარეობს.

სარეზერვო დიზელ-გენერატორი LWTP-ს ტერიტორიაზეა. ჩამდინარე წყლის ეფექტური დამუშავების პროცესი დამოკიდებულია ჰაერის უწყვეტ მიწოდებაზე რაც საჭიროა ბაქტერიული უჯრედებისთვის საკმარისი ჟანგბადის უზრუნველსაყოფად და მიკროორგანიზმების არსებობისთვის მინიმალური პირობების შესანარჩუნებლად.

გამწმენდ ნაგებობებზე ჩამდინარე წყლების ჰიდრავლიკური დაყოვნების დრო (HRT) დამუშავებული ჩამდინარე წყლისთვის არის $8 \div 18$ საათი. ეს დამოკიდებულია წყლის მოდინების მახასიათებლებსა და გაწმენდილი ჩამდინარე წყლის ხარისხის მოთხოვნებზე.


ჩამდინარე წყლის სრული ბიოლოგიური წმენდა ნიტრიფიკაციის, დენიტრიფიკაციისა და აერობული ბიომასის სტაბილიზაციის მოცვით ხორციელდება შესაბამისად ჰიდრობიონტების ზოგადი შემადგენლობით, რომელიც ფიქსირდება მრავალდონიან ინერტულ მატარებელზე.

ბიოლოგიური გაწმენდის პროცესის გაშვების ეტაპი

ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ბიოლოგიური დანადგარის ტექნოლოგიური ციკლის გამართვის სამუშაოები ითვალისწინებს ჩამდინარე წყლების ხარჯის თანდათანობით გაზრდას, რათა მოხდეს აქტიური ლამის კონცენტრაციის ზრდა ბიორეაქტორში მის საპროექტო პარამეტრებამდე მისაყვანად. ამ პერიოდში ჩამდინარე (საკანალიზაციო) წყლების ნაწილი, მიმღები კამერისა და მექანიკური გაწმენდის დანადგარებში გაწმენდის პროცესის გავლის შემდგომ, ავარიული გადამღვრელით ჩაედინება მიმღები ზედაპირული წყლის პროექტით გათვალისწინებულ წყალჩაშვების წერტილში.

აქტიური ლამის კონცენტრაციის ზრდა ბიორეაქტორში დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებებზე, კერძოდ, წყლის ტემპერატურაზე, დაბინძურების ხარისხობრივ მაჩვენებლებზე და შემომავალი წყლის ხარჯზე. აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე სტაბილური პროცესის მიღწევა შეუძლებელია პროცესის დაწყებისთანავე და ამას სჭირდება გარკვეული დრო. ეს პროცესი გრძელდება ექვს თვემდე. ამ დრომდე, მიმდინარეობს ჩამდინარე წყლების მხოლოდ მექანიკური გაწმენდის პროცესი, რა დროსაც გამწმენდი ნაგებობა ვერ უზრუნველყოფს სრულყოფილ წმენდას.

სურ N6 - ჩამდინარე წყლების გაწმენდი ნაგებობის გენ. გეგმა



- შესკვათა აღწერა**
EXPLICATION
- 1 სერვისის შენობა N1
Service building N1
 - 2 ბიორეაქტორები
Bioreactor
 - 3 ბალანსირებელი აგარი
Equalizing tank
 - 4 ხაზის სტატიკური შენობა
Inline static mixer
 - 5A სერვისის შენობა N2
Service building N2
 - 5B სერვისის შენობა N3
Service building N3
 - 5C სერვისის შენობა N4
Service building N4
 - 6 ადმინისტრაციული შენობა
Administrative building
 - 7 ვერტიკალური თხელიანი კლარფერი
Vertical thin-lamellar clarifier
 - 8 სასამაშო შენობა
Waste barn
 - 9 ბალანსირებელი აგარის მიწისქვეშა მიწისქვეშა მიწისქვეშა
Distributing emergency receiver chamber
 - 10A ლითონის კოშკი N1
Metal Staircase N1
 - 10B ლითონის კოშკი N2
Metal Staircase N2
 - 11C გენერატორების მოედანი
Generator Square
 - 11 სხვადასხვა სახის სასამაშო შენობების (მაგ. სასამაშო) სასამაშო შენობა
Hazardous waste storage booth with racks (with compartments)

წერტილი	კოორდინატები	კოორდინატები
RES-1	X:587456.87	Y:4610175.60
RES-2	X:587456.29	Y:4610179.58
RES-3	X:587465.36	Y:4610175.12
RES-4	X:587460.95	Y:4610171.16
PS-1	X:587465.18	Y:4610182.13
PS-2	X:587468.01	Y:4610184.98
PS-3	X:587470.81	Y:4610182.08
PS-4	X:587468.01	Y:4610179.30
SPF-1	X:587450.96	Y:4610166.20
SPF-2	X:587453.79	Y:4610171.00
SPF-3	X:587456.54	Y:4610168.25
SPF-4	X:587453.79	Y:4610165.40

- პირდაპირი აღწერა**
- თვითმართვადი კოლექტორი ქვედა OD 800
 - გამწვანებელი ხაზის მოწოდების წყლის კოლექტორი OD 2x400
 - BYPASS შემოღობვის ავარიული მილი OD 400
 - გამწვანებელი წყლის კოლექტორი OD 400
 - ფულტრაციის უბანის დასაბრუნებელი მილი OD 3
 - სასაწყობო და ტერიტორიის მიწისქვეშა მილი OD 110
 - სასაწყობო წყლის მილი OD 63
 - კანალიზაციის თვითმართვადი მილი OD 200

კლიენტი: მუნიციპალიტეტის მერიის სამსახური
სამშენობლო-სამკონსტრუქციო სამსახური
სამსახური

სამსახური: მუნიციპალიტეტის მერიის სამსახური
სამსახური: მუნიციპალიტეტის მერიის სამსახური
სამსახური: მუნიციპალიტეტის მერიის სამსახური


სამსახური: მუნიციპალიტეტის მერიის სამსახური
სამსახური: მუნიციპალიტეტის მერიის სამსახური
სამსახური: მუნიციპალიტეტის მერიის სამსახური

6. ჩამდინარე წყლების ჩაშვება

ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული გაწმენდილი ჩამდინარე წყლების ჩაშვება მოხდება მდ. ალაზანში. ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის კოორდინატებია:

ცხრილი N6 - ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის
GPS კოორდინატები

X	Y
590527.24	4612789.74



სურ. N7 - საპროექტო ტერიტორია ჩაშვების წერტილის მითითებით

ხოლო თავად ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის განთავსება დაგეგმილია შემდეგი GPS კოორდინატების ფარგლებში:

ცხრილი N6.1 - ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიის GPS კოორდინატები

X	Y
587587.37	4610297.39
587653.52	4610222.41
587434.94	4610167.85
587500.34	4610093.73

7. პროექტის ალტერნატივების განხილვა

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის, მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სხვა საკითხებთან ერთად გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ ინფორმაციას.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე განხილული იქნა შემდეგი ალტერნატიული ვარიანტები:

- არაქმედების ალტერნატივა;
- გამწმენდი ნაგებობის და საკანალიზაციო სისტემის განთავსების ალტერნატივები;
- ტექნოლოგიური ალტერნატიული ვარიანტები

7.1 არაქმედების ალტერნატივა

არაქმედების, ანუ ნულოვანი ალტერნატივა გულისხმობს პროექტის განხორციელებაზე უარის თქმას, რაც იმას ნიშნავს, რომ ქ. სიღნაღისა და წნორის საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების მართვის საკითხი გადაუჭრელი დარჩება. ქ. სიღნაღისა და წნორში წლების მანძილზე გადაუჭრელი იყო საკანალიზაციო წყლების არინების საკითხი, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევს და აფერხებს მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

საკანალიზაციო წყლების არინების და გაწმენდის სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა მნიშვნელოვან დადებით გავლენას მოახდენს ქ. სიღნაღისა და წნორის შემდგომი განვითარების თუ ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების თვალსაზრისით. შესაბამისად, პროექტის განხორციელება მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

ქ. სიღნაღისა და წნორის წყალარინებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი მნიშვნელოვანი კომპონენტია. პროექტის განხორციელება, შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან გარემოსდაცვით ღონისძიებად, რომელიც პრაქტიკულად გადაჭრის არსებულ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას. ნაგებობის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ მოხდება ქ. სიღნაღისა და წნორის სამეურნეო-ფეკალური წყლების ორგანიზებული შეგროვება. გამწმენდი ნაგებობა უზრუნველყოფს საკანალიზაციო წყლების ნორმატიულ დონემდე გაწმენდას, რის შემდგომაც გაწმენდილი ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება ზედაპირული წყლის ობიექტის ერთ წერტილში. ჩამდინარე წყლების გაუმჯობესებული მართვის შედეგად მოხდება მიმდებარე წყალსატევებისა და ნიადაგის, ასევე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაბინძურების რისკების მინიმუმამდე შემცირება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ბიოლოგიური გარემოსდაცვის, ასევე დასახლებული პუნქტების შემდგომი სოციალური პირობების განვითარების კუთხით.

პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ნეგატიური ასპექტებიდან აღსანიშნავია მშენებლობის დროს ზემოქმედება ნიადაგის, ატმოსფერული ჰაერის და წყლის ხარისხზე და ა.შ. თუმცა, სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ზემოქმედებათა დიდი ნაწილი მასშტაბების შემცირება, ზოგიერთ შემთხვევაში ნულამდე დაყვანაც. გარდა ამისა ზემოქმედებათა უმეტესი ნაწილი მოსალოდნელია მშენებლობის ფაზაზე, რომელიც არ გაგრძელდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: პროექტის განხორციელებლობის შემთხვევაში ვერ მოხერხდება ჩამდინარე წყლების ნორმირებული გაწმენდა და ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკების მინიმუმამდე შემცირება. რაციონალური საპროექტო გადაწყვეტილებების და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით წყალარინების სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია გაცილებით მნიშვნელოვან ეკოლოგიურ და ეკონომიკურ სარგებელს გამოიწვევს, ვიდრე პროექტის განხორციელებლობა. შესაბამისად არაქმედების ალტერნატივა უგულვებელყოფილი იქნა.

7.2 გამწმენდი ნაგებობის განთავსების ალტერნატივები

ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის განსათავსებლად ტერიტორიის შერჩევა მოხდა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ქ. სიღნაღისა და ქ. წნორის ტერიტორია მთლიანად კერძო საკუთრებაშია, გამოირჩევა მჭიდრო დასახლებით და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ან/და თავისუფალი მიწის მოძებნა პრაქტიკულად შეუძლებელია (აღნიშნულის დამადასტურებელი მუნიციპალიტეტის წერილი მოცემულია დანართი 1-ში). ამასთან შერჩეული ტერიტორიის რელიეფი

უნდა იყოს შესაბამისობაში დადგენილ მოთხოვნებთან. პროექტის განხორციელებამ არ უნდა გამოიწვიოს კერძო მესაკუთრეების დაზარალება ან/და საჭირო გახადოს განსახლების პროცედურების განხორციელება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ისეთი ტერიტორიის შერჩევა, სადაც პროექტის განხორციელება არ გამოიწვევს გარემოს არსებული მდგომარეობის მნიშვნელოვან ცვლილებას. ამ ფაქტორების გათვალისწინებით განხილული იქნა პროექტის განხორციელების ტერიტორიის 2 ალტერნატიული ვარიანტი. მათგან ერთი მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწას, ხოლო მეორე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწას.

ალტერნატიული ვარიანტი 1 - გულისხმობს გამწმენდი ნაგებობის მოწყობას სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია: 56.03.48.208. აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოდგენილია სწორი რელიეფით. არ წარმოადგენს კერძო საკუთრებას, რაც თავისთავად კერძო მესაკუთრეების დაზარალებას ან/და განსახლების პროცედურების განხორციელებას არ გამოიწვევს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ტერიტორია დიდი მანძილით (5 კმ) არის დაშორებული დასახლებული პუნქტიდან, მასზე მოსახვედრად, როგორც მშენებლობის ისე ექსპლოატაციის პროცესში დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობის საჭიროება არ არის და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობით არ მოხდება გარემოს არსებული მდგომარეობის მნიშვნელოვანი ცვლილება.

ალტერნატიული ვარიანტი 2 - გულისხმობს გამწმენდი ნაგებობის მოწყობას კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია: 56.04.49.010. ტერიტორია წარმოადგენს ფ/პ რომან თეგაშვილის პირად საკუთრებას. მიწის ნაკვეთი დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია 2 კმ მანძილით. ამასთან, ტერიტორიას ემიჯნება სხვადასხვა იურიდიული პირების მიწის ნაკვეთები მასზე განთავსებული სხვადასხვა დანიშნულების მქონე შენობა-ნაგებობებით. იმის გამო, რომ მიწა წარმოადგენს კერძო საკუთრებას, საჭირო იქნება მისი გამოსყიდვის პროცედურების განხორციელება, რაც დაკავშირებული იქნება დამატებით ხარჯებთან და შესაბამისად გაზრდის პროექტის ხარჯებს. ამასთან, მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწას და საჭიროა კატეგორიის ცვლილება. გარდა ამისა, მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზა არადაამკაყოფილებელ მდგომარეობაშია და საჭირო იქნება მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოების განხორციელება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გარემოს არსებული მდგომარეობის გაუარესება.

აღნიშნული ფაქტორების მხედველობაში მიღებით და იმის გათვალისწინებით, რომ ქ. სიღნაღისა და ქ. წნორის ტერიტორია მთლიანად კერძო საკუთრებაშია, გამოირჩევა მჭიდრო დასახლებით და

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ან/და თავისუფალი მიწის მოძებნა პრაქტიკულად შეუძლებელია (აღნიშნულის დამადასტურებელი მუნიციპალიტეტის წერილი მოცემულია დანართი 1-ში), ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისათვის უპირატესობა მიენიჭა პირველ ვარიანტს.

7.3 ტექნოლოგიური ალტერნატივები

ქ. სიღნაღისა და წნორის ბიოლოგიურ გამწმენდ ნაგებობაში ტექნოლოგიური ალტერნატივის შესარჩევად განიხილებოდა:

- ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური დამუშავება აქტიური ლამის მეთოდით;
- ჩამდინარე წყლების დამუშავება ინტეგრირებული სივრცითი-კონიუგირებული ბაქტერიული სისტემის (ISBS) ბიოტექნოლოგიით.

ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური დამუშავება აქტიური ლამის მეთოდით კარგად აპრობირებული და ეფექტური მეთოდია, თუმცა მისი ტექნოლოგია მოითხოვს:

- მექანიკური დამუშავების უბნის მოწყობას;
- აერობული კამერის მოწყობას;
- ანოქსიკური კამერის მოწყობას;
- სალექარი კამერის მოწყობას;
- შლამის სტაბილიზაციის ავზის მოწყობას;
- შლამის გაუწყლოების უბნის მოწყობას;
- შლამის განთავსების უბნის მოწყობას.

ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური დამუშავების აქტიური ლამის მეთოდის ძირითადი უარყოფითი მხარეა ტექნოლოგიური უბნების მოსაწყობად დიდი ფართობის ათვისება.

რაც შეეხება ჩამდინარე წყლების დამუშავება ინტეგრირებული სივრცითი-კონიუგირებული ბაქტერიული სისტემის (ISBS) ბიოტექნოლოგიას, მისი მნიშვნელოვანი უპირატესობებია:

- ტექნოლოგია გამოიყენება დაბინძურების განსხვავებული კონცენტრაციის მქონე მცირე მოცულობების გასაწმენდად, მაგალითად 50 მ³/დღე-დან საშუალო მოცულობამდე (1000 მ³/დღე) და დიდი მოცულობებისთვის (10,000 მ³/დღე-დან ზემოთ);
- დამატებითი სისტემები ჭარბი აქტიური ლამის რეცირკულაციისთვის საჭირო არ არის;

- ჭარბი აქტიური ლამის წმენდა არ არის აუცილებელი;
- ჩამდინარე წყლების წმენდის დრო მნიშვნელოვნად მცირდება;
- მრავალდონიანი ინერტული ზედაპირის პირველადი თვისებების აღდგენის სისტემები და ბაქტერიების დამატებითი კვება საჭირო არ არის;
- ნიტრიფიკაცია, დენიტრიფიკაცია და აერობული ბიომასის სტაბილიზაცია წარმოებს «TOP» ბიომოდულში, რაც აღმოფხვრის დამატებით გამწმენდ სისტემებს;
- შეცდომის გამომრიცხავი სისტემა და მაღალი საიმედოობის ხარისხი;
- საოპერაციო უსაფრთხოება;
- სრულად ავტომატური მართვა;
- ახასიათებს მდგრადობა;
- პროცესის სტაბილურობა და მდგრადობა;
- ფუნქციონალური სიმარტივე და ხანგრძლივობა;
- არასასიამოვნო სუნის არარსებობა;
- დაბალი საშუალო ენერგო ხარჯები გაწმენდილი წყლის 1 მ³ -თვის;
- სამშენებლო ტერიტორია არ არის დიდი.

ISBS-ტექნოლოგია საშუალებას იძლევა თავიდან აცილებულ იქნას პრობლემები, რომლებიც მომდინარეობს ჰიდრავლიკური და დაბინძურების ხარისხის სეზონური რყევებიდან კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მუშაობის პერიოდში.

ჰიდრავლიკური და დაბინძურების ხარისხის მნიშვნელოვანი სეზონური რყევები გავლენას არ ახდენს გაწმენდის ხარისხზე, რადგან წყლის ნაკლები ნაკადის მიწოდების ან საერთოდ არ მიწოდების შემთხვევაში, ბიოლოგიური წმენდის სისტემა ინარჩუნებს თავის ფუნქციებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

ჰიდრავლიკური დატვირთვის ხანგრძლივი სეზონური შემცირების ან წყლის არ მიწოდების შემთხვევაში ბიორეაქტორის გარკვეული სექციები ითიშება (მიწოდებული წყლის შემცირებული რაოდენობის პროპორციულად), ასევე ითიშება გარკვეული რაოდენობის ჰაერსაბერავი.

ნებისმიერი შემთხვევისას ბიორეაქტორის ნებისმიერი სექციის გათიშვის შემდეგ (დაგეგმილი ან დაუგეგმავი), ახალი ბიომასის ჩატვირთვის აუცილებლობა და ჰაერსაბერავისთვის ოპერაციის პარამეტრების ხელახლა შერჩევა და ჰაერის მიწოდების რეგულირება საჭირო არ არის. ბაქტერიული შტამები თითოეული ბიომოდულის კონკრეტულ გარემოზე ადაპტირებული კარგადაა ნარჩუნდება ინერტულ მატარებელზე (სპორები, კისტები, კაფსულები, და სხვა).

ბიორექტორის სექციებში წყლისა და ჰაერის განახლების შემდეგ მიკროორგანიზმები აღადგენენ თავიანთ სასიცოცხლო აქტივობას 6-8 საათის განმავლობაში.

ბიორექტორის სექციის ჩამდინარე წყლებით შევსების შემდეგ, წმენდისთვის საჭირო პარამეტრები აღწევნ საპროექტო მოცულობას რამდენიმე საათში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა ჩამდინარე წყლების დამუშავების ინტეგრირებული სივრცითი-კონიუგირებული ბაქტერიული სისტემის (ISBS) ბიოტექნოლოგიას.

8. მისასვლელი გზები

საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელად გამოყენებული იქნება საერთაშორისო მნიშვნელობის ავტომაგისტრალი ს5 (თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი), რომელიც გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიას უერთდება გრუნტიანი გზით. შესაბამისად, მისასვლელი გზის მოწყობა საჭირო არ არის, თუმცა უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, შესაძლოა საჭირო გახდეს მცირე მოცულობის მოსწორებითი ან/და მოხრეშვის სამუშაოების განხორციელება ბუღდოზერით.



სურ. N8 - საპროექტო გამწმენდ ნაგებობასთან მისასვლელი გზა

9. სამშენებლო სამუშაოების აღწერა

სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე განხორციელდება შერჩეული ტერიტორიების მომზადება, რაც გულისხმობს ტერიტორიების ბალახეული საფარისგან გასუფთავებას.

სამშენებლო მოედნებამდე მისასვლელად არსებობს გრუნტის გზები, რომლებიც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და შესაბამისად, პროექტი არ მოითხოვს ახალი მისასვლელი გზების მოწყობას.

მოსამზადებელ სამუშაოებში ასევე გათვალისწინებულია სამშენებლო ბანაკის მოწყობა, მშენებლობისათვის საჭირო დანადგარ მექანიზმების მობილიზაცია და სხვ.

სამშენებლო სამუშაოები მოიცავს მიწის სამუშაოებს, კერძოდ, ახალი შენობა-ნაგებობის ფუნდამენტების მომზადებას, მილსადენებისთვის თხრილების გაყვანას, გამწმენდი ნაგებობების ტექნოლოგიური ობიექტების სამშენებლო სამუშაოებს.

10. სამშენებლო ბანაკი

სამშენებლო ბანაკისთვის ტერიტორიას შეარჩევს სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელი კონტრაქტორ-მშენებელი, უშუალოდ პროექტის დაწყებამდე. შესაბამისად გზშ-ის ეტაპზე ბანაკის GPS კოორდინატების, გენგემის და SHP ფაილების წარმოდგენა შეუძლებელია. თუმცა აღსანიშნავია, რომ სამშენებლო ბანაკის მდებარეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პროექტის განხორციელებისას, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ისეთი ტერიტორიის შერჩევა რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს ნეგატიურ ზემოქმედებას, როგორც გარემოზე და ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, ასევე, სატრანსპორტო გადაადგილების კუთხით. აქედან გამომდინარე ტერიტორიის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ძირითად რეკომენდაციები:

- ტერიტორიის რელიეფი, რომელიც ხელს არ შეუშლის ინფრასტრუქტურის მოწყობას და არ გამოიწვევს მასშტაბური მიწის სამუშაოების განხორციელებას;
- ხელსაყრელი საინჟინრო - გეოლოგიური პირობები;
- ბანაკი უნდა მოეწყოს სამშენებლო უბნებთან ახლოს, რათა სამშენებლო ტექნიკის გადაადგილებამ არ გამოიწვიოს სატრანსპორტო მიმოსვლის შეფერხება;

- სამშენებლო ბანაკი არ უნდა მოეწყოს დასახლებულ პუნქტთან ახლოს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსახლეობის შეწუხება ხმაურით, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელებით და ასევე მძიმე ტექნიკის გადაადგილებით;
- სამშენებლო ბანაკისთვის განკუთვნილი ტერიტორია არ უნდა იყოს დაფარული მცენარეული საფარით, რათა თავიდან იქნეს აცილებულ ბიოლოგიურ საფარზე ზემოქმედება;
- სასურველია ისეთი ტერიტორიის შერჩევა, რომელიც ღარიბი იქნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენით, თუმცა იმ შემთხვევაში თუ ტერიტორია დაფარული იქნება ნაყოფიერი ფენით, საჭიროა მისი მოხსნა და კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად მართვა;

სამშენებლო ბანაკის შემადგენლობაში შევა შემდეგი ინფრასტრუქტურულ ობიექტები:

- ავტოსადგომი;
- სასაწყობო მეურნეობა;
- საოფისე ოთახი;
- მუშა-მოსამსახურეთა ტანსაცმლის გამოსაცვლელი ოთახი;
- მოსასვენებელი ოთახი;
- საპირფარეშო;

სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო ინერტული მასალების და მზა ბეტონის ხსნარის შემოტანა მოხდება რაიონში მოქმედი ფიზიკური და იურიდიული პირების საწარმოებიდან (კონკრეტული კომპანიების შერჩევა მოხდება უშუალოდ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, მშენებელი-კონტრაქტორის მიერ. შესაბამისად კონკრეტული მომწოდებლების დასახელება აღნიშნულ ეტაპზე ვერ მოხდება). თუმცა იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორი საჭიროდ ჩათვლის, შესაძლებელია მოაწყოს მცირე ზომის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი ან/და ბეტონის კვანძი სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე. ასეთი საჭიროების შემთხვევაში იგი ვალდებული იქნება გაიაროს კანონით დადგენილი პროცედურები.

სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე წყალმომარაგებისა და წყალარინების საკითხებს გადაწყვეტს მშენებელი კომპანია. წინასწარი ვარაუდით, სასმელი წყალი შემოტანილი იქნება ბუტილიზებული სახით, ხოლო წყალჩაშვება მოხდება სამშენებლო ბანაკისთვის შერჩეულ ტერიტორიაზე მოწყობილ საასენიზაციო ორმოში.

11. მშენებლობის პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკის ჩამონათვალი

გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის დროს გამოყენებული იქნება მსგავი პროექტებისთვის დამახასიათებელი ტექნიკა. ცხრილში წარმოდგენილია გამოსაყენებელი ტექნიკის სავარაუდო ჩამონათვალი.

#	დასახელება	რაოდენობა
1	ექსკავატორი	2
2	ბორბლიანი მტვირთავი	2
3	ავტოთვითმცლელი	2
4	ტრაქტორი	1
5	ბულდოზერი	1

12. ნიადაგის ნაყოფიერი ფენისა და ფუჭი ქანების მოხსნა-დასაწყობება

ტერიტორია, სადაც დაგეგმილია გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, თავისუფალია ხე-მცენარეებისგან, თუმცა ნიადაგი დაფარულია ბალახოვანი მცენარეებით. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე საჭირო იქნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება.

იმისათვის, რომ სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდში თავიდან იქნეს აცილებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაზიანება, საჭიროა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა ტერიტორიის სრულ ფართობზე. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ გამწმენდი ნაგებობისთვის გამოყოფილი სრული ტერიტორიიდან, მხოლოდ გარკვეული ნაწილის გამოყენება იგეგმება, პროექტი არ თვალისწინებს მის სრულ ათვისებას, შესაბამისად, მოხსნილი ნიადაგი სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ დასაწყობდება კონსერვაციის მიზნით.

ნიადაგის მოხსნა, დასაწყობება, და კონსერვაცია განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული „ნიადაგის ნაყოფიერების დონის განსაზღვრის“ და „ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგის“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობებისა და ასევე „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა განხორციელდება სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, მოსამზადებელი სამუშაოების ეტაპზე. გამწმენდი ნაგებობის მოწყობის შემდეგ ტერიტორიის გარკვეული ნაწილის ზედაპირი მომანდაკდება ბეტონის ფენით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა განხორციელდება დაახლოებით 2400 მ² ფართობზე. ნაყოფიერი ფენის სუსტი სიმძლავრის (10 სმ) გათვალისწინებით, მოსახსნელი ნაყოფიერი ფენის მოცულობა დაახლოებით იქნება: $2400 \times 0.10 = 240$ მ³ მოხსნილი ნიადაგი დასაწყობდება სამშენებლო ტერიტორიაზე (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X-587583; Y-4610268) ცალკე გამოყოფილ ფართობზე, რომელიც დაცული იქნება გარე ფაქტორების ზემოქმედებისგან. ნიადაგის განსათავსებლად შერჩეული უბანი ზედაპირული წყლის ობიექტიდან დაშორებული იქნება 300 მ-ზე მეტი მანძილით;

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განთავსება მოხდება შესაბამისი წესების დაცვით: ნაყარის სიმაღლე არ აღემატება 2 მ-ს; ნაყარის ფერდებს მიეცემა შესაბამისი დახრის (450) კუთხე; დაცული იქნება სამუშაო მოედნების საზღვრები მოსაზღვრე უბნების შესაძლო დაბინძურების, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაზიანების და ნიადაგის ეროზიის თავიდან აცილების მიზნით;

<p>ჰაერი (მტვერი და გამონახობა)</p>	<p>სამშენებლო ბანაკი; სამშენებლო მოედნები; სამშენებლო მოედნამდე მისასვლელი გზები;</p>	<p>ვიზუალურ - ინსტრუმენტული მანქანა- დანადგარების ტექნიკური გამართულობის კონტროლი; მისასვლელი გზების პერიოდული მორწყვა; ინსტრუმენტალური გაზომვა</p>	<p>მიწი სამუშაოების წარმოების პროცესში, პერიოდულად მშრალ ამინდში. სამშენებლო სამუშაოების დროს. ინტენსიური სატრანსპორტო ოპერაციებისას მშრალ ამინდში. ტექნიკის გამართულობის შემოწმება სამუშაოების დაწყებამდე; გაზომვა - საჭიროების შემთხვევაში; (საჩივრების შემოსვლის შემდეგ)</p>	<p>ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ნორმატიულთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; მოსახლეობის მინიმალური შემფოთება; პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფა; მცენარეული საფარის/ფლორის და ფაუნის მინიმალური შემფოთება</p>	<p>საქმიანობის განმახორციელებელი</p>
<p>ხმაური და ვიბრაცია</p>	<p>სამშენებლო ბანაკი; სამშენებლო მოედნები; უახლოესი რეცეპტორი (საცხოვრებელი ზონა)</p>	<p>მანქანა- დანადგარების ტექნიკური გამართულობის კონტროლი; ინსტრუმენტალური გაზომვა.</p>	<p>ტექნიკის გამართულობის შემოწმება ყოველდღიურად სამუშაოს დაწყებამდე ინსტრუმენტალური გაზომვა - პერიოდულად</p>	<p>ჯანდაცვის და უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა,</p>	<p>საქმიანობის განმახორციელებელი;</p>

			და/ან საჩივრების შემოსვლის შემდეგ.	პერსონალისთვის კომფორტული სამუშაო პირობების შექმნა	
ნიადაგი	სამშენებლო ბანაკი; სამშენებლო მოედნები; მასალების და ნარჩენების დასაწყობების ადგილები; მისასვლელი გზების დერეფანი	კონტროლი, მეთვალყურეობა მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის კონტროლი; ლაბორატორიული კონტროლი	პერიოდული შემოწმება; შემოწმება სამუშაოს დასრულების შემდეგ. ლაბორატორიული კვლევა - დამაბინძურებელი ნივთიერებების დაღვრის შემთხვევაში	ნიადაგის სტაბილურობის და ხარისხის შენარჩუნება	საქმიანობის განმახორციელებელი;
ბიოლოგიური გარემო	სამშენებლო მოედნები და მიმდებარე ტერიტორია	მდინარის წყლის დაბინძურებისგან დაცვის მიზნით ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლების მართვის წესების დაცვაზე ზედამხედველობა	მიწის სამუშაოების დაწყებამდე; მშენებლობის პერიოდში მუდმივად.	მცენარეთა და ცხოველთა (მათ შორის წყლის გარემოს) სახეობების დაცვა;	საქმიანობის განმახორციელებელი;

20.2 მონიტორინგის გეგმა - ექსპლუატაციის ეტაპი

კონტროლის საგანი/საკონტროლო ქმედება	კონტროლის/სინჯის ადების წერტილი	მეთოდი	სიხშირე/დრო	მიზანი	პასუხისმგებელი პირი
არასასიამოვნო სუნის გავრცელება	ნაგებობის ტერიტორია; უახლოესი რეცეპტორი (საცხოვრებელი ზონა)	გამწმენდი ნაგებობის დანადგარ-მექანიზმების ტექნიკური გამართულობის კონტროლი; გამოკითხვა;	პერიოდული კონტროლი; ინსტრუმენტალური გაზომვა - პერიოდულად, და ქარიან ამინდში	პერსონალის, მოსახლეობის მინიმალური შეწუხება; მაკორექტირებელი საჭიროების დადგენა.	ოპერატორი კომპანია

				შემუშავება და პრაქტიკაში გამოყენება.	
ხმაური	უახლოესი რეცეპტორი (საცხოვრებელი ზონა)	მოწყობილობების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა	პერიოდული კონტროლი ინსტრუმენტალური შემოსვლის შემთხვევაში სამუშაოების შემდეგ	ჯანდაცვის და უსაფრთხოების ნორმებთან უზრუნველყოფა	ოპერატორი კომპანია
ზედაპირული წყლების ხარისხი	მდ. ალაზნის წყალი ჩაშვების წერტილიდან ქვემოთ	მდინარის წყლის ლაბორატორიული ანალიზი შემდეგ პარამეტრებზე: PH; შეწონილი ნაწილაკები; ფბმ; ქქმ; საერთო აზოტი; საერთო ფოსფორი; გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციაში გაშვების დროს გამწმენდის მუშაობის ეფექტურობის დასადგენად ჩატარდება შესაბამისი ინსტრუმენტული გაზომვები, რათა საჭიროების შემთხვევაში დაიგეგმოს დამატებითი ღონისძიებები.	კვარტალში ერთხელ	მდინარის წყლის ხარისხის საქართველოს შესაბამის გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობა	ოპერატორი კომპანია
ჩამდინარე წყლის ხარისხი	გაწმენდამდე და გაწმენდის შემდგომ, მდ. ალაზანში ჩაშვებამდე	ჩამდინარე წყლის ლაბორატორიული ანალიზი შემდეგ პარამეტრებზე:	ყოველდღიურად	ჩამდინარე წყლების ნორმირებული გაწმენდა;	ოპერატორი კომპანია

		PH; შეწონილი ნაწილაკები;		საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ღონისძიებების გატარება.	
		ჟბმ; ჟქმ; საერთო აზოტი; საერთო ფოსფორი;	კვირაში ერთხელ		
ნიადაგის ხარისხი	ნაგებობის ტერიტორია; ნარჩენების განთავსების უბნები	ვიზუალური კონტროლი; საჭიროების შემთხვევაში ლაბორატორიული ანალიზის ჩატარება;	ლაბორატორიული კვლევა - დამაბინძურებელი ნივთიერებების ავარიული დაღვრის შემთხვევაში	ნიადაგის ხარისხის დაცვა	ოპერატორი კომპანია
ნარჩენები	გამწმენდი ნაგებობის ტერიტორია ნარჩენების განთავსების ტერიტორიები	ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერება ნარჩენების მენეჯმენტის კონტროლი	პერიოდულად	ნიადაგის, წყლის გარემოს დაცვა.	ოპერატორი კომპანია
გამწმენდი ნაგებობიდან ამოღებული მცირე რაოდენობის გაუწყლოებული ლამი	ლამის დროებითი დასაწყობების ადგილი	გაუწყლოებული ლამის ნიმუშების ანალიზი ტოქსიკური მეტალების შემცველობაზე	ნაგებობის ექსპლუატაციის პირველ ეტაპზე თვეში ერთხელ, შემდგომ წელიწადში ერთხელ	ნიადაგის, წყლის გარემოს დაცვა; გაუწყლოებული ლამის მართვის საკითხი	ოპერატორი კომპანია
შრომის უსაფრთხოება	სამუშაოთა წარმოების ტერიტორია	ინსპექტირება პირადი დაცვის საშუალებების არსებობა და გამართულობის კონტროლი	პერიოდული კონტროლი სამუშაოს წარმოების პერიოდში	ჯანდაცვის და უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა	ოპერატორი კომპანია

21. შესაძლო ავარიული სიტუაციები

გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროექტის და ექსპლუატაციის ტექნოლოგიური რეგლამენტის გაანალიზების საფუძველზე, ჩამოყალიბებული იქნა ავარიული სიტუაციების წარმოქმნის შესაძლო ვარიანტები, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ავარიების თავიდან აცილება. ავარიების პრევენციული ღონისძიებების შემუშავებამდე უნდა მოხდეს ავარიული რისკ-ფაქტორების შეფასება, რომლის მიზანია ერთის მხრივ ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების მიღებას პროექტის განხორციელების მიზანშეწონილების თვალსაზრისით, მეორეს მხრივ – შექმნას საფუძველი გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების თავიდან ასაცილებელი ან მნიშვნელოვნად შემარბილებელი ღონისძიებების დასადგენად.

გარემოსდაცვითი მიმართულების რეცეპტორებზე ზემოქმედების მოხდენა წარმოადგენს მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის ბოლო რგოლს, რომლის ძირითადი კომპონენტებია:

- ტექნოლოგიური სქემით გათვალისწინებული ცალკეულ სამუშაოებთან დაკავშირებული, რისკის შემცველი სიტუაციების წარმოქმნა (ხანძარი და სხვა);
- მგრძობიარე რეცეპტორებზე (ატმოსფერული ჰაერი, ნიადაგი, გრუნტი ან ზედაპირული წყლები, ჰაბიტატების ზოგიერთი სახეობები) ნეგატიური ზემოქმედება.

შესაბამისად, ღონისძიებები შესაძლებელია მიმართული იყოს ერთის მხრივ ამ ჯაჭვის ნებისმიერი რგოლის ცდომილების აღბათობის ანუ ზემოქმედების აღბათობის შემცირებისაკენ, მეორეს მხრივ ღონისძიებათა მიზანია ზემოქმედების სიდიდეების მინიმიზაცია. ღონისძიებათა სახეების ყველაზე კარგი მიმართულებაა შესაძლებლობის ფარგლებში ნეგატიური ზემოქმედების ნულამდე დაყვანა.

დაგეგმილი საქმიანობის პროცესში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციები შეიძლება იყოს:

- ხანძარი (ლანდშაფტური ხანძარი);
- საშიში ნივთიერებების დაღვრა;
- გამწმენდი ნაგებობის დაზიანება და საკანალიზაციო წყლების ავარიულ ჩაშვება;
- უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემთხვევები;
- საგზაო შემთხვევები;
- ბუნებრივი ხასიათის ავარიული სიტუაცია.

გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელ ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა მოცემულია ქვემოთ:

22. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა

22.1 ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მიზნები და ამოცანები

ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მიზანია ჩამოაყალიბოს და განსაზღვროს სახელმძღვანელო მითითებები ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებელი და ოპერატორი კომპანიის პერსონალისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს ნებისმიერი მასშტაბის ტექნოგენურ ავარიებზე და ინციდენტებზე, აგრეთვე სხვა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების და ლიკვიდაციის პროცესში ჩართული და სხვა მომსახურე პერსონალის ქმედებების რაციონალურად, კოორდინირებულად და ეფექტურად წარმართვა, პერსონალის, მოსახლეობის და გარემოს უსაფრთხოების დაცვა.

ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის ამოცანებია:

- დაგეგმილი საქმიანობის დროს (გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია), მისი სპეციფიკის გათვალისწინებით მოსალოდნელი ავარიული სახეების განსაზღვრა;
- თითოეული სახის ავარიულ სიტუაციაზე რეაგირების ჯგუფების შემადგენლობის, მათი აღჭურვილობის, ავარიულ სიტუაციაში მოქმედების გეგმის და პასუხისმგებლობების განსაზღვრა;
- შიდა და გარე შეტყობინებების სისტემის, მათი თანმიმდევრობის, შეტყობინების საშუალებების და მეთოდების განსაზღვრა და ავარიული სიტუაციების შესახებ შეტყობინების (ინფორმაციის) გადაცემის უზრუნველყოფა;
- შიდა რესურსების მყისიერად ამოქმედება და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რესურსების დადგენილი წესით მობილიზების უზრუნველყოფა და შესაბამისი პროცედურების განსაზღვრა;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების საორგანიზაციო სისტემის მოქმედების უზრუნველყოფა;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების პროცესში საკანონმდებლო, ნორმატიულ და საწარმოო უსაფრთხოების შიდა განაწესის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა ითვალისწინებს საქართველოს კანონების და საკანონმდებლო აქტების მოთხოვნებს.

22.2 პროექტის განხორციელების დროს მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების სახეები

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით მოსალოდნელია შემდეგი სახის ავარიები და ავარიული სიტუაციები:

- ხანძარი/ აფეთქება;
- საშიში ნივთიერებების, მათ შორის ნავთობპროდუქტების დაღვრა;
- გამწმენდი ნაგებობის ავარიული დაზიანება და გაუწმენდავი საკანალიზაციო წყლების ავარიული ჩაშვება;
- პერსონალის ტრავმები და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტები;
- სატრანსპორტო შემთხვევები;
- ბუნებრივი ხასიათის ავარიული სიტუაციები (მარგინალური ამინდის პირობები, მიწისძვრა, წყალმოვარდნა და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ავარიული სიტუაციები შესაძლოა თანმდევი პროცესი იყოს და ერთი სახის ავარიული სიტუაციის განვითარებამ გამოიწვიოს სხვა სახის ავარიის ინიცირება.

22.3 ხანძარი/აფეთქება

ხანძრის აღმოცენება-გავრცელებისა და აფეთქების რისკები არსებობს როგორც ნაგებობის მშენებლობის, ასევე მისი ექსპლუატაციის დროს. პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობის ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე ავარიის გამომწვევი ფაქტორი ძირითადად შეიძლება იყოს ანთროპოგენური, კერძოდ: მშენებელი ან მომსახურე პერსონალის გულგრილობა და უსაფრთხოების წესების დარღვევა, ნავთობპროდუქტების, ზეთების და სხვა ადვილად აალებადი/ფეთქებადი მასალების შენახვის და გამოყენების წესების დარღვევა და სხვ. თუმცა აფეთქების და ხანძრის გავრცელების პროვოცირება შეიძლება სტიქიურმა მოვლენამაც მოახდინოს (მაგ. მიწისძვრა).

მშენებლობის ეტაპზე ხანძრის განვითარების და აფეთქების რისკების თვალსაზრისით სენსიტიური უბნებია: სამშენებლო ბანაკი, სამშენებლო მოედანი და ადვილად აალებადი და ფეთქებადი მასალების საწყობები.

ხანძრის/აფეთქების თანმდევი პროცესები შეიძლება იყოს:

- საშიში ნივთიერებების ზალპური გაფრქვევა / დაღვრა;
- პერსონალის ან მოსახლეობის ტრავმები და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემთხვევები.

22.4 საშიში ნივთიერებების მ.შ. ნავთობპროდუქტების ზალპური დაღვრა

ნაგებობის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში ავარიული სიტუაციის განვითარების მიზეზი შეიძლება იყოს ტექნიკის, ზეთშემცველი დანადგარ-მექანიზმების გაუმართაობა და შესანახი ჭურჭლის ჰერმეტიკობის დარღვევა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საშიში ნივთიერებების დაღვრა და გავრცელება ნიადაგსა და წყალში.

მშენებლობის პროცესში საშიში ნივთიერებების და ნავთობპროდუქტების დაღვრის თავალსაზრისით სენსიტიური უბანია სამშენებლო ბანაკი და სამშენებლო მოედანი, სადაც ინტენსიურად ხდება ტექნიკისა და დანადგარ-მექანიზმების გამოყენება.

ექსპლუატაციის ეტაპზე მაღალი რისკები არსებობს ზეთების, ნავთობპროდუქტების და სხვა საშიში ნივთიერებების სასაწყობო ტერიტორიები.

ავარიის თანმდევი პროცესები შეიძლება იყოს:

- ხანძარი/აფეთქება;
- პერსონალის ან მოსახლეობის მოწამვლა.

22.5 გამწმენდი ნაგებობის დაზიანება და საკანალიზაციო წყლების ავარიული ჩაშვება

გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში ჩამდინარე წყლების ავარიული ჩაშვების მიზეზი შეიძლება გახდეს ტექნიკური გაუმართაობა, მომსახურე პერსონალის უყურადღებობა ან არასაკმარისი ცოდნა, ბუნებრივი კატასტროფები და სხვა.

საკანალიზაციო წყლების ავარიული ჩაშვების შემთხვევაში ადგილი ექნება მდ. ალაზნის უხეშ დაბინძურებას.

გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მინიმუმაციის ძირითადი შემარბილებელი ღონისძიებაა გამწმენდი ნაგებობის ავარიული დაზიანების პრევენცია, ხოლო ავარიის შემთხვევაში დაზიანების ოპერატიული აღდგენა.

22.6 პერსონალის ტრავმები და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები

გარდა სხვა ავარიულ სიტუაციებთან დაკავშირებული ინციდენტებისა მუშახელის ტრავმატიზმი შესაძლოა უკავშირდებოდეს:

- პროექტისთვის გამოყენებულ მძიმე ტექნიკასთან/მანქანებთან დაკავშირებულ ინციდენტებს;
- სიმალლიდან ჩამოვარდნას;
- მოხმარებული ქიმიური ნივთიერებებით მოწამვლას;
- დენის დარტყმას ძაბვის ქვეშ მყოფი დანადგარების სიახლოვეს მუშაობისას.

22.7 სატრანსპორტო შემთხვევები

სამშენებლო სამუშაოების დროს გამოყენებული იქნება სატვირთო მანქანები და მძიმე ტექნიკა. საზოგადოებრივი სარგებლობის და მისასვლელ გზებზე მათი გადაადგილებისას მოსალოდნელია:

- შეჯახება ადგილობრივი მოსახლეობის სატრანსპორტო საშუალებებთან, უძრავ ქონებასა ან პირუტყვთან;
- შეჯახება ადგილობრივ მოსახლეობასთან;
- შეჯახება პროექტის მუშახელთან;
- შეჯახება პროექტის სხვა ტექნიკასთან;
- შეჯახება ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტთან.

როგორც წესი, ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში ინტენსიური სატრანსპორტო ოპერაციები არ განხორციელდება, შესაბამისად ამ ეტაპზე სატრანსპორტო ავარიების რისკი არ იქნება მაღალი. ავარიის შესაძლო თანმდევი პროცესებიდან აღსანიშნავია:

- ხანძარი/აფეთქება;
- პერსონალის ან მოსახლეობის ტრავმები და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემთხვევები.

22.8 ბუნებრივი ხასიათის ავარიული სიტუაციები

დაგეგმილი საქმიანობის პროცესში ბუნებრივი ხასიათის ავარიული სიტუაციებზე სათანადო, დროულ და გეგმაზომიერ რეაგირებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სტიქიური მოვლენები ნებისმიერი ზემოთჩამოთვლილი ავარიული სიტუაციის მაპროვოცირებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს.

22.9 ავარიული სიტუაციების წარმოქმნის ძირითადი პრევენციული ღონისძიებები

ხანძრის / აფეთქების პრევენციული ღონისძიებები:

- პერსონალის პერიოდული სწავლება და ტესტირება ხანძრის პრევენციის საკითხებზე;
- ადვილად აალებადი და ფეთქებადსაშიში ნივთიერებების დასაწყობება უსაფრთხო ადგილებში. მათი განთავსების ადგილებში შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების მოწყობა;
- ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვა და მაღალი რისკის მქონე ტერიტორიებზე ქმედითუნარიანი სახანძრო ინვენტარის არსებობა;
- ელექტროუსაფრთხოების დაცვა, მეხამრიდების მოწყობა და მათი გამართულობის კონტროლი;
- მუშაობის დროს უნებლიედ გაფანტული ხანძარსაშიში, ადვილად აალებადი ნივთიერებები უნდა იყოს ფრთხილად მოგროვილი და მოთავსებული ნარჩენების ყუთში. ის ადგილები, სადაც იყო დარჩენილი ან გაფანტული ხანძარსაშიში ნივთიერებები, უნდა იყოს გულმოდგინედ გაწმენდილი ნარჩენების საბოლოოდ მოცილებამდე.

საშიში ნივთიერებების დაღვრის პრევენციული ღონისძიებები:

- ნავთობპროდუქტების და ქიმიური ნივთიერებების შენახვის და გამოყენების წესების დაცვაზე მკაცრი ზედამხედველობა. შენახვამდე უნდა მოწმდებოდეს შესაბამისი ჭურჭლის ვარგისიანობა;
- ნივთიერებების მცირე ჟონვის ფაქტის დაფიქსირებისთანავე სამუშაოების შეწყვეტა / დანადგარ-მექანიზმების მუშაობის შეჩერება და სარემონტო ღონისძიებების გატარება, რათა ინციდენტმა არ მიიღოს მასშტაბური ხასიათი.
- გამწმენდი ნაგებობის დაზიანების და საკანალიზაციო წყლების ავარიული ჩაშვების პრევენციული ღონისძიებები:
- ნაგებობის ტექნიკური გამართულობის სისტემატური კონტროლი და ექსპლუატაციის წესების დაცვა;
- პერსონალის პერიოდული სწავლება და ტესტირება გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის წესების დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების საკითხებზე;
- პერსონალის პერიოდული სწავლება და ტესტირება გარემოსდაცვით საკითხებზე;
- ნაგებობის ტექნოლოგიური სისტემების გეგმიური და საჭიროების შემთხვევაში მიმდინარე შეკეთება;
- ავარიული სიტუაციების გამომწვევი ტექნიკური გაუმართაობის ოპერატიულად გამოსწორება.

პერსონალის ტრავმატიზმის/დაზიანების პრევენციული ღონისძიებები:

- პერსონალის პერიოდული სწავლება და ტესტირება შრომის უსაფრთხოების საკითხებზე;
- პერსონალის აღჭურვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- სახიფათო ზონები უნდა იყოს შემოფარგლული და აღნიშნული, ღამით ადვილად შესამჩნევი (ღამით, შემოდგომის გარდა, საჭიროა ქვაბულების გარშემო მანათებელი ნიშნების დაყენება);
- სიმაღლეზე მუშაობისას პერსონალი დაზღვეული უნდა იყოს სპეციალური თოკებითა და მცველი სარტყელებით;
- შესაბამის ადგილებში სამედიცინო ყუთების განლაგება;
- სახიფათო ზონებში შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების, ასევე უსაფრთხოების განათების მოწყობა;
- სპეციალური კადრების მომზადება, რომლებიც გააკონტროლებს სამუშაო უბნებზე უსაფრთხოების ნორმების შესრულების დონეს და დააფიქსირებს უსაფრთხოების ნორმების დარღვევის ფაქტებს.

სატრანსპორტო შემთხვევების პრევენციული ღონისძიებები:

- ნებისმიერმა ა/მანქანამ სამუშაოზე გასვლის წინ უნდა გაიაროს ტექნიკური შემოწმება. განსაკუთრებით უნდა შემოწმდეს მუხრუჭები. ა/თვითსაცლელებს უმოწმდება ძარის აწევის მექანიზმი;
- მოძრაობის ოპტიმალური მარშრუტების შერჩევა და მოძრაობის სიჩქარეების შეზღუდვა (ტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარე სამუშაოთა წარმოების ადგილთან არ უნდა აღემატებოდეს სწორ უბნებზე - 10 კმ/სთ, ხოლო მოსახვევებზე - 5 კმ/სთ);
- აკრძალულია ექსკავატორების, ამწეების და სხვა მანქანა-მექანიზმების მუშაობა ნებისმიერი ძაბვის, ელექტროგადამცემი ხაზების ქვეშ.
- გრუნტის დატვირთვა ა/მანქანებზე დასაშვებია მხოლოდ გვერდითი ან უკანა ბორტის მხრიდან;
- ბეტონის ჩამწყოები საშუალებები-ბადები, ბუნკერები, ციცხვი უნდა იყოს აღჭურვილი საკეტებით, ნარევის შემთხვევითი გაცემის თავიდან ასაცილებლად. ბეტონის ნარევის განტვირთვის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 1,0 მ. დასაბეტონებელი ზედაპირის 30⁰ მეტი დახრის შემთხვევაში სამუშაოები სრულდება მცველი სარტყელის გამოყენებით;
- მშენებლობისთვის გამოყენებული დროებითი და მუდმივი გზების კეთილმოწყობა და პროექტის მთელი ციკლის განმავლობაში მათი ტექნიკური მდგომარეობის შენარჩუნება;

- სამოძრაო გზებზე და სამშენებლო ბანაკებზე გამაფრთხილებელი, ამკრძალავი და მიმითითებელი საგზაო ნიშნების მოწყობა;
- სპეციალური და არა გაბარიტული ტექნიკის გადაადგილების დროს ტექნიკის გაცილების უზრუნველყოფა სპეციალურად აღჭურვილი ტექნიკითა და მომზადებული პროფესიონალური პერსონალით (მედროშით).

22.10 ინციდენტის სავარაუდო მასშტაბები

ნაგებობის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ავარიის, ინციდენტის სალიკვიდაციო რესურსების და საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, ავარიები და ავარიული სიტუაციები დაყოფილია რეაგირების 3 ძირითადი დონის მიხედვით.

22.11 ავარიულ სიტუაციებზე რეაგირება

22.11.1 რეაგირება ხანძრის შემთხვევაში

ხანძრის კერის ან კვამლის აღმომჩენი პირის და მახლობლად მომუშავე პერსონალის სტრატეგიული ქმედებებია:

- სამუშაო უბანზე ყველა საქმიანობის შეწყვეტა, გარდა უსაფრთხოების ზომებისა;
- სიტუაციის შეფასება, ხანძრის კერის და მიმდებარე ტერიტორიების დაზვერვა;
- შეძლებისდაგვარად ტექნიკის და სხვა დანადგარ-მოწყობილობების იმ ადგილებიდან გაყვანა/გატანა, სადაც შესაძლებელია ხანძრის გავრცელება. ელექტრომოწყობილობები უნდა ამოირთოს წრედიდან;
- იმ შემთხვევაში თუ ხანძარი მძლავრია და გაძნელებულია ხანძრის კერასთან მიდგომა, მიმდებარედ განლაგებულია რაიმე ხანძარსაშიში ან ფეთქებადსაშიში უბნები/ნივთიერებები, მაშინ:
- მოშორდით სახიფათო ზონას;
- ევაკუირებისას იმოქმედეთ ნაგებობის ევაკუაციის სქემის/ საევაკუაციო პლაკატების მითითებების მიხედვით;
- თუ თქვენ გიწევთ კვამლიანი დახურული სივრცის გადაკვეთა, დაიხარეთ რადგან ჰაერი ყველაზე სუფთა იატაკთანაა, ცხვირზე და პირზე აიფარეთ სველი ნაჭერი;

- თუ ვერ ახერხებთ ევაკუაციას ალმოდებული გასასვლელის გამო ხმამაღლა უხმეთ მშველელს;
- ავარიის შესახებ შეტყობინება გადაეცით უფროს მენეჯერს/ოპერატორს;
- დაელოდეთ სამაშველო რაზმის გამოჩენას და მათი მოსვლისას გადაეცით დეტალური ინფორმაცია ხანძრის მიზეზების და ხანძრის კერის სიახლოვეს არსებული სიტუაციის შესახებ;
- იმ შემთხვევაში თუ ხანძარი არ არის მძლავრი, ხანძრის კერა ადვილად მისადგომია და მასთან მიახლოება საფრთხეს არ უქმნის თქვენს ჯანმრთელობას. ამასთან არსებობს მიმდებარე ტერიტორიებზე ხანძრის გავრცელების გარკვეული რისკები, მაშინ იმოქმედეთ შემდეგნაირად:
- ავარიის შესახებ შეტყობინება გადაეცით უფროს მენეჯერს / ოპერატორს;
- მოძებნეთ უახლოესი სახანძრო სტენდი და მოიმარაგეთ საჭირო სახანძრო ინვენტარი (ცეცხლმაქრობი, ნაჯახი, ძალაყინი, ვედრო და სხვ);
- ეცადეთ ხანძრის კერის ლიკვიდაცია მოახდინოთ ცეცხლმაქრობით, ცეცხლმაქრობზე წარმოდგენილი ინსტრუქციის მიხედვით;
- იმ შემთხვევაში თუ უბანზე არ არსებობს სახანძრო სტენდი, მაშინ ხანძრის კერის ლიკვიდაციისთვის გამოიყენეთ ქვიშა, წყალი ან გადააფარეთ ნაკლებად აალებადი სქელი ქსოვილი;
- იმ შემთხვევაში თუ ხანძრის კერის სიახლოვეს განლაგებულია წრედში ჩართული ელექტროდანადგარები წყლის გამოყენება დაუშვებელია;
- დახურულ სივრცეში ხანძრის შემთხვევაში ნუ გაანიავებთ ოთახს (განსაკუთრებული საჭიროების გარდა), რადგან სუფთა ჰაერი უფრო მეტად უწყობს ხელს წვას და ხანძრის მასშტაბების ზრდას.

ხანძრის შემთხვევაში უბნის მენეჯერის/უფროსი ოპერატორის სტრატეგიული ქმედებებია:

- დეტალური ინფორმაციის მოგროვება ხანძრის კერის ადგილმდებარეობის, მიმდებარედ არსებული/დასაწყობებული დანადგარ-მექანიზმების და ნივთიერებების შესახებ და სხვ;
- სხვა პერსონალის და სახანძრო სამსახურის ინფორმირება;
- ინციდენტის ადგილზე მისვლა და სიტუაციის დაზვერვა, რისკების გაანალიზება და ხანძრის სავარაუდო მასშტაბების (I, II ან III დონე) შეფასება;
- მთელს პერსონალს ეთხოვოს მანქანებისა და უბანზე არსებული ხანძარსაქრობი აღჭურვილობის გამოყენება;
- პერსონალის ქმედებების გაკონტროლება და ხელმძღვანელობა.

- ხანძრის შემთხვევაში სამშენებლო სამუშაოების მენეჯერის/ნაგებობის უფროსის სტრატეგიული ქმედებებია;
- სახანძრო სამსახურის ინფორმირება;
- H&S ოფიცერთან ერთად შიდა პერსონალის ქმედებების გაკონტროლება და ხელმძღვანელობა ადგილობრივი ან რეგიონალური სახანძრო რაზმის გამოჩენამდე (ამის შემდეგ შტატს ხელმძღვანელობს სახანძრო რაზმის ხელმძღვანელი);
- სახანძრო რაზმის ქმედებების ხელშეწყობა (შესაძლოა საჭირო გახდეს უბანზე არარსებული სპეციალური აღჭურვილობა და სხვ.);
- ინციდენტის დასრულების შემდგომ H&S ოფიცერთან ერთად ავარიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარება;
- ანგარიშის მომზადება და სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელი კომპანიისთვის/ნაგებობის ოპერატორი კომპანიისთვის მიწოდება.

22.11.2 რეაგირება საშიში ნივთიერებების დაღვრის შემთხვევაში

წინამდებარე ქვეთავში განხილულია მხოლოდ I და II დონის ავარიული სიტუაციებზე რეაგირების სტრატეგია. საშიში ნივთიერებების დაღვრის რეაგირების სახეებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მიწის ზედაპირის სახე. აგრეთვე, მისი პირვანდელი მდგომარეობა. შესაბამისად ავარიებზე რეაგირება წარმოდგენილია შემდეგი სცენარებისთვის:

- საშიში ნივთიერებების დაღვრა შეუღწევად ზედაპირზე (ასფალტის, ბეტონის საფარი);
- საშიში ნივთიერებების დაღვრა შეღწევად ზედაპირზე (ხრეში, ნიადაგი, ბალახოვანი საფარი);
- საშიში ნივთიერებების მდინარეში ჩაღვრა.

შეუღწევად ზედაპირზე საშიში ნივთიერებების (ძირითადად ნავთობპროდუქტები) დაღვრის შემთხვევაში საჭიროა შემდეგი სტრატეგიული ქმედებების განხორციელება:

- ინფორმაციის გადაცემა სხვა პერსონალისთვის და სამაშველო რაზმისთვის;
- უბანზე მომუშავე ყველა დანადგარ-მექანიზმის გაჩერება;
- დაბინძურების წყაროს გადაკეტვა (არსებობის შემთხვევაში);
- ეთხოვოს პერსონალს ავარიაზე რეაგირებისათვის საჭირო აღჭურვილობის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მობილიზება;

- მოხდეს სამეურნეო-ფეკალური კანალიზაციის სისტემის შესასვლელების (ჭების ხუფები) ბლოკირება;
- საჭიროების შემთხვევაში საჭიროა შესაფერისი შეულწევადი მასალისაგან (ქვიშის ტომრები, პლასტმასის ფურცლები, პოლიეთილენის აპკები და სხვ.) გადასაკეტი ბარიერების მოწყობა ისე, რომ მოხდეს დაღვრილი ნივთიერებების შეკავება ან გადაადგილების შეზღუდვა;
- ბარიერები უნდა აიგოს ნალის ფორმით, ისე, რომ გახსნილი მხარე მიმართული იყოს ნივთიერებების დინების შემხვედრად;
- მოხდეს დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეგროვება ცოცხებისა და ტილოების გამოყენებით;
- დაღვრილი ნავთობპროდუქტების შესაშრობად საჭიროა შთანმთქმელი (აბსორბენტული) საფენების გამოყენება;
- მოაგროვეთ ნავთობპროდუქტები ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი კონტეინერში (ჭურჭელში) შეგროვება და შემდგომი გადატანა.
- ნავთობის შეწოვის შემდეგ საფენები უნდა მოთავსდეს პოლიეთილენის ტომრებში (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია საფენების ხელმეორე გამოყენება);
- მოედანი სრულიად უნდა გაიწმინდოს ნარჩენი ნავთობპროდუქტებისგან, რათა გამოირიცხოს მომავალში წვიმის წყლებით დამაბინძურებლების წარეცხვა;
- გაწმენდის ოპერაციების დამთავრების შემდეგ ყველა საწმენდი მასალა უნდა შეგროვდეს, შეიფუტოს და დასაწყობდეს შესაბამისად დაცულ ადგილებში.

შელწევად ზედაპირზე ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევაში საჭიროა შემდეგი სტრატეგიული ქმედებების განხორციელება:

- ინფორმაციის გადაცემა სხვა პერსონალისთვის და სამაშველო რაზმისთვის;
- უბანზე მომუშავე ყველა დანადგარ-მექანიზმის გაჩერება;
- ეთხოვოს პერსონალს ავარიაზე რეაგირებისათვის საჭირო აღჭურვილობის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მობილიზება;
- მოხდეს სამეურნეო-ფეკალური კანალიზაციის სისტემის შესასვლელების (ჭების ხუფები) ბლოკირება;
- შთანმთქმელები უნდა დაეწყოს ერთად ისე, რომ შეიქმნას უწყვეტი ბარიერი (ზღუდე) მოძრავი ნავთობპროდუქტების წინა კედის პირისპირ. ბარიერის ბოლოები უნდა მოიხაროს წინისკენ, რათა მან ნალის ფორმა მიიღოს;

- დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეკავების ადგილი უნდა დაიფაროს პოლიეთილენის აპკის ფურცლებით, რათა არ მოხდეს ნავთობის შეღწევა ნიადაგის ქვედა ფენებში;
- აღსანიშნავია, რომ თუ შეუძლებელია შემაკავებელი პოლიეთილენის ფურცლების დაფენა, მაშინ ბარიერების მოწყობა გამოიწვევს ნავთობის დაგროვებას ერთ ადგილზე, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ამ ადგილზე ნიადაგის გაჯერებას ნავთობით, ნავთობპროდუქტების შეღწევას ნიადაგის უფრო ქვედა ფენებში;
- დაღვრილი ნავთობპროდუქტების შესაშრობად საჭიროა შთანმთქმელი (აბსორბენტული) საფენების გამოყენება;
- მოაგროვებ ნავთობი ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი კონტეინერში (ჭურჭელში) შეგროვება და შემდგომი გადატანა;
- ნავთობის შეწოვის შემდეგ საფენები უნდა მოთავსდეს პოლიეთილენის ტომრებში (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია საფენების ხელმეორე გამოყენება);
- მოედანი სრულიად უნდა გაიწმინდოს ნარჩენი ნავთობპროდუქტებისგან, რათა გამოირიცხოს მომავალში წვიმის წყლებით დამაბინძურებლების წარეცხვა ან ნიადაგის ღრმა ფენებში გადაადგილება;
- გაწმენდის ოპერაციების დამთავრების შემდეგ ყველა საწმენდი მასალა უნდა შეგროვდეს, შეიფუტოს და დასაწყობდეს შესაბამისად დაცულ ადგილებში;
- მიწის ზედაპირზე არსებული მცენარეულობის და ნიადაგის ზედა ფენის დამუშავება უნდა დაიწყოს დაბინძურების წყაროს მოცილებისთანავე ან გაჟონვის შეწყვეტისთანავე; როგორც კი მოცილებული იქნება მთელი გაჟონილი ნავთობპროდუქტები, სამშენებლო სამუშაოების მენეჯერის / ნაგებობის უფროსის მითითებისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე მოწვეული სპეციალისტის ზედამხედველობით უნდა დაიწყოს დაბინძურებული ნიადაგის მოცილება და მისთვის სარემედიაციო სამუშაოების ჩატარება.

მდინარეში/საწრეტ არხებში ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევაში საჭიროა შემდეგი სტრატეგიული ქმედებების განხორციელება:

- ინფორმაციის გადაცემა სხვა პერსონალისთვის და სამაშველო რაზმისთვის;
- მდინარეში ჩაღვრის შემთხვევაში ქვედა ბიეფში მოსახლეობის ინფორმირება;
- უბანზე მომუშავე ყველა დანადგარ-მექანიზმის გაჩერება;
- დაბინძურების წყაროს გადაკეტვა (არსებობის შემთხვევაში);

- ეთხოვოს პერსონალს ავარიაზე რეაგირებისათვის საჭირო აღჭურვილობის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მობილიზება;
- დაუყოვნებლივ მოხდეს მდინარის დაბინძურებული მონაკვეთის გადაღობვა ხის დაფებით ან სამდინარო ბონებით. დამატებითი საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მიწით გავსებული ტომრების გამოყენება;
- მდინარის ზედაპირზე შეგროვებული ნავთობპროდუქტების ამოღება მოხდეს საასენიზაციო მანქანებით; ნაპირზე დაღვრილი ნავთობპროდუქტების შესაშრობად გამოყენებული უნდა იქნეს შთანთქმელი (აბსორბენტული) საფენები;
- ნავთობის შეწოვის შემდეგ საფენები მოთავსდეს ნარჩენების განსათავსებელ პოლიეთილენის ტომრებში.

23. გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრა

23.1 გამწმენდი ნაგებობის მოკლევადიანი გაჩერება ან რემონტი

გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის დროებითი გაჩერების ან არსებული ობიექტების რემონტის (მიმდინარე და კაპიტალური) შემთხვევაში, საექსპლუატაციო სამსახური შეიმუშავებს საქმიანობის დროებით შეჩერებასთან ან რემონტთან დაკავშირებულ ოპერატიულ გეგმას, რომელიც პირველ რიგში მოიცავს უსაფრთხოების მოთხოვნებს და შეთანხმებული იქნება ადგილობრივ თვითმართველობასთან და ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირთან. გეგმაში გათვალისწინებული იქნება მუნიციპალური ჩამდინარე წყლების არინების ალტერნატიული გზები.

23.2 გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტა ან კონსერვაცია

გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტის ან კონსერვაციის შემთხვევაში, შეიქმნება სალიკვიდაციო ორგანო, რომელიც დაამუშავებს ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტის ან კონსერვაციის გეგმას. ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტის ან კონსერვაციის გეგმა შეთანხმებული იქნება უფლებამოსილ ორგანოებთან. გეგმის ძირითად შინაარსს წარმოადგენს უსაფრთხოების მოთხოვნები.

საქმიანობის შეწყვეტამდე გატარდება შემდეგი სახის ღონისძიებები:

- ტერიტორიის შიდა აუდიტის ჩატარება – ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობის დაფიქსირება, ავარიული რისკების და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით პრობლემატური უბნების გამოვლენა და პრობლემის გადაწყვეტა;
- დამხმარე ინფრასტრუქტურის დროებითი დემობილიზაცია – სასაწყობო მეურნეობის შეძლებისდაგვარად გამოთავისუფლება დასაწყობებული მასალისაგან, ნარჩენებისგან, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების განთავსებისთვის სპეციალური ტერიტორიის გამოყოფა;
- ტერიტორიის გარე პერიმეტრის გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნებით უზრუნველყოფა.

23.3 გამწმენდი ნაგებობის ლიკვიდაცია

გამწმენდი ნაგებობის ლიკვიდაციის შემთხვევაში, გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრისათვის გათვალისწინებული იქნება სპეციალური პროექტის დამუშავება.

აღნიშნული პროექტის დამუშავებაზე პასუხისმგებელია ოპერატორი კომპანიის ხელმძღვანელობა. არსებული წესის მიხედვით ობიექტის გაუქმების სპეციალური პროექტი შეთანხმებული იქნება უფლებამოსილი ორგანოების მიერ და ინფორმაცია მიეწოდება ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიული პირს.

პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს ტექნოლოგიური პროცესების შეწყვეტის წესები და რიგითობა, შენობა - ნაგებობების და მოწყობილობების დემონტაჟი, სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარების წესები და პირობები, უსაფრთხოების დაცვის და გარემოსდაცვითი ღონისძიებები, საშიში ნარჩენების გაუვნებლობის და განთავსების წესები და პირობები, სარეკულტივაციო სამუშაოები და სხვა.

24. გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება

გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით, დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ დაგეგმილი პროექტი წარმოადგენს გარემოსდაცვით ღონისძიებას, რომლის განხორციელებით თავიდან იქნება აცილებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედება, მათ შორის თავიდან აცილებული ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებისა და ნიადაგის დაზიანებები. გაუმჯობესდება სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. შესაბამისად, პროექტის

განხორციელება შეუქცევად პროცესებთან დაკავშირებული არ იქნება და ზემოქედების ყველა სახე დასრულდება გამწმენდი ნაგებობისა და საკანალიზაციო სისტემის ექსპლოატაციაში შესვლისთანავე.

25. სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება

წინამდებარე გზშ ანგარიშის მომზადებას წინ უძღვოდა სკოპინგის პროცედურები. საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოექსის“ მე-8 მუხლი ითვალისწინებს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული წრეების ჩართულობას. აღნიშნული კოდექსის პირობების გათვალისწინებით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დანიშნული იქნა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ქ. სიღნაღისა და ქ. წნორის საკანალიზაციო სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია, სკოპინგის განცხადებასთან და სკოპინგის ანგარიშთან ერთად გამოქვეყნებული იქნა სამინისტროს ვებ გვერდზე: www.mepa.gov.ge და ასევე ქ. წნორის ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე.

(საჯარო განხილვის ლინკი - <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/33653>).

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა ჩატარდა 2022 წლის 9 თებერვალს, ქ. წნორის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში.

საჯარო განხილვა ჩატარა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის თანამშრომელმა.

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვას ესწრებოდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის, საკონსულტაციო კომპანიის და ქ. წნორის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, ასევე დაინტერესებული საზოგადოება.

საჯარო განხილვაზე პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. საჯარო განხილვაზე კითხვები დაისვა გამწმენდი ნაგებობიდან გამომავალი წყლის სისუფთავისა და უსაფრთხოების, წყლის სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებისა და გამწმენდის ტექნოლოგიური პროცესის შესახებ. შპს „მუნიციპალპროექტის“ დირექტორმა დამსწრე საზოგადოებას განუმარტა გამწმენდი ნაგებობის ტექნოლოგიური პროცესი და ხაზი გაუსვა გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპს, ამასთან მისგან გამომავალი წყლის ვარგისიანობას და წყლის გამოყენებას სარწყავი მიზნებისთვის.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სამინისტროში წარმოდგენილი არ ყოფილა წარმოდგენილი.

26. ინფორმაცია გზშ-ის ანგარიშში განხილული სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესახებ

#	მოთხოვნილი ინფორმაცია	გათვალისწინებული არის თუ არა გზშ ანგარიშში	რომელ პარაგრაფში
1.	პროექტის საჭიროების დასაბუთება;	დიახ	3
2.	ინფორმაცია ქ. წნორსა და ქ. სიღნაღში საკანალიზაციო სისტემის შესახებ, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით;	დიახ	4
3.	დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა;	დიახ	5
4.	საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა, ამასთან გამწმენდი ნაგებობის საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდი, საკანალიზაციო ქსელისა (კოლექტორის, შიდა საკანალიზაციო ქსელების) და გამწმენდი ნაგებობის SHP ფაილები, GPS კოორდინატები;	დიახ	5.1
5.	საკანალიზაციო სისტემის (კოლექტორის და შიდა საკანალიზაციო ქსელების) სქემა და საპროექტო გამწმენდი ნაგებობის გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;	დიახ	თან ერთვის გზშ-ის ანგარიშს
6.	გამწმენდი ნაგებობის საპროექტო ტერიტორიიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე (მდებარეობის მითითებით), ზედაპირული წყლის ობიექტამდე (მდ. ოლე და მდ. ალაზანი), საავტომობილო გზამდე და სხვა;	დიახ	5.1
7.	პროექტის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილი უნდა იყოს საკანალიზაციო სისტემისა (ცენტრალური კოლექტორის) და გამწმენდი ნაგებობის განთავსების ალტერნატიული ვარიანტები, ასევე არაქმედების ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივები და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების დასაბუთება. დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული გამწმენდი ნაგებობის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;	დიახ	7
8.	პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საკანალიზაციო სისტემისა (კოლექტორის და შიდა საკანალიზაციო ქსელების) და გამწმენდი ნაგებობის მოწყობის- ექსპლუატაციის დეტალური აღწერა;	დიახ	5.2
9.	საპროექტო და დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტების, საპროექტო უბნების, დანადგარებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების, მათ შორის მილსადენების (სიგრძე, დიამეტრი, ტიპი), საკანალიზაციო ჭებისა და სატუმბი სადგურების (პარამეტრების, წარმადობა) დეტალური აღწერა;	დიახ	5.2.1
10.	საკანალიზაციო სისტემისა (კოლექტორის, შიდა საკანალიზაციო ქსელების) და გამწმენდი ნაგებობის პარამეტრების შესახებ ინფორმაცია ერთიანი ცხრილის სახით;	დიახ	5.2.1
11.	საკანალიზაციო სისტემის (კოლექტორის, შიდა საკანალიზაციო ქსელების) სიგრძე და მთლიანი ქსელის ფართობი;	დიახ	5.2.1

12.	ინფორმაცია გამწმენდის შერჩეული ტექნოლოგიის შესახებ. მათ შორის შერჩეული მეთოდის ეფექტურობის შესახებ ინფორმაცია შესაბამისი დასაბუთებით;	დიახ	5
13.	საპროექტო საკანალიზაციო სისტემისა, გამწმენდი ნაგებობის სიმძლავრე და წარმადობა;	დიახ	5.3
14.	ინფორმაცია საკანალიზაციო წყლების შეკრების, გამწმენდ ნაგებობაზე მიწოდების და ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგიური სქემის/ციკლის შესახებ. საპროექტო გამწმენდი სისტემის ტექნოლოგიური სქემა/ციკლი წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი თანმიმდევრობით, ჩამდინარე წყლის მიღებიდან - მის გაწმენდამდე;	დიახ	5
15.	დაბინძურებული ჩამდინარე წყლის შემადგენლობა - გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ, შესაბამისი დასაშვები ნორმების მითითებით;	დიახ	ცხრილი 5.4
16.	ინფორმაცია გამწმენდ ნაგებობამდე და ნაგებობიდან წყალჩაშვების წერტილამდე მილსადენის გაყვანის შესახებ, (მილის პარამეტრები: მილის სიგრძე, დიამეტრი, ტიპი) განთავსების პირობების მითითებით (მიწის ზედაპირზე თუ მიწის ქვეშ). ამასთან, გამწმენდ ნაგებობამდე და გამწმენდი ნაგებობიდან წყალჩაშვების წერტილამდე მილსადენის გაყვანის სქემა და Shp ფაილები;	დიახ	5.2.1
17.	ინფორმაცია საკანალიზაციო სისტემით სხვადასხვა ობიექტების, საკომუნიკაციო ქსელების გადაკვეთის (არსებობის შემთხვევაში) წერტილების შესახებ. მათ შორის ინფორმაცია გადაკვეთის ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ, გადაკვეთის ადგილის კოორდინატების მითითებით;	დიახ	5.2.1
18.	გაწმენდილი წყლის ჩაშვების ადგილის GPS კოორდინატი;	დიახ	6
19.	ობიექტის მოწყობის და ექსპლუატაციის პერიოდში წყალმომარაგება-წყალარინების საკითხები;	დიახ	14
20.	დეტალური ინფორმაცია საპროექტო გამწმენდი ნაგებობის პერიმეტრზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;	დიახ	14
21.	ქ. სიღნაღისა და ქ. წნორის მოსახლეობის ზრდის დინამიკის მაჩვენებლების, ასევე წყალმოთხოვნილების ზრდის დინამიკის და შესაბამისად ჩამდინარე წყლების რაოდენობის დინამიკის შესახებ ინფორმაცია;	დიახ	5.3
22.	გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სუნის (არსებობის შემთხვევაში) გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაცია;	დიახ	იხ. შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა
23.	ინფორმაცია ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი შლამის და მისი მართვის საკითხების (მათ შორის ტრანსპორტირება, გაუწყლოვნება) შესახებ. მათ შორის წარმოქმნილი ლამის სავარაუდო რაოდენობა/მოცულობა, შემადგენლობა, გაუწყლოვანება, დროებითი და საბოლოო განთავსების შესახებ ინფორმაცია;	დიახ	5 5.13 5.11
24.	პროექტის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხები;	დიახ	16.9
25.	ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების შესახებ, მათ შორის:	დიახ	9 10

	<ul style="list-style-type: none"> ინფორმაცია სამშენებლო ბანაკის შესახებ (მოწყობის ადგილის შესახებ ინფორმაცია, GPS კოორდინატების მითითებით); სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრაფიკი; ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკის შესახებ; პროექტის ფარგლებში დაგეგმილი მიწის სამუშაოების აღწერა; ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების, გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია („ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით); ინფორმაცია ფუჭი ქანების წარმოქმნის შესახებ, როგორც საკანალიზაციო ქსელის, ისე გამწმენდი ნაგებობის მოწყობის ეტაპზე, ფუჭი ქანების მოცულობის მითითებით; მართვის საკითხების აღწერა, მათ შორის: განთავსების (დროებითი, მუდმივი) ადგილების შესახებ ინფორმაცია. 		11 12
26.	დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;	დიახ	13
27.	გამწმენდის მოწყობის ტერიტორიის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო მიწის ნაკვეთების სტატუსის შესახებ ინფორმაცია;	დიახ	დანართი 2
28.	ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ. მათ შორის, გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, ჩამდინარე წყლის მაქსიმალური მოდინების დროს, ავარიული სიტუაციის მართვის საკითხების შესახებ ინფორმაცია;	დიახ	21
29.	ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.	დიახ	27
30.	გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა: <ul style="list-style-type: none"> რელიეფი (გეომორფოლოგია); გეოლოგიური აგებულება; სეისმური პირობები; ჰიდროგეოლოგიური პირობები; საინჟინრო-გეოლოგიური პირობები 	დიახ	15
31.	გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება: <ul style="list-style-type: none"> ზემოქმედება გრუნტის წყლებზე; 	დიახ	15.6.3 16.2 16.5

	<ul style="list-style-type: none"> საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით. 		
32.	პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს: მოსალოდნელი ემისიები, გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში და სხვა; ასევე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებები და ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა;	დიახ	16.3
33.	გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი;	დიახ	თან ერთვის გზშ-ის ანგარიშს
34.	გამწმენდი ნაგებობიდან არასასიამოვნო სუნის შესაძლო გავრცელებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებების მითითებით;	დიახ	იხ. შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა
35.	ხმაურის გავრცელება და მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;	დიახ	16.4
36.	საკანალიზაციო სისტემისა (ცენტრალური კოლექტორი) და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, ექსპლუატაციის ეტაპზე მდ. ალაზნის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგის წარმოების შესახებ ინფორმაცია;	დიახ	16.1 იხ. მონიტორინგის გეგმა
37.	გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი;	დიახ	თან ერთვის გზშ-ის ანგარიშს
38.	საკანალიზაციო სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებების მითითებით;	დიახ	16.6
39.	საკანალიზაციო სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის მოწყობის-ექსპლუატაციის ეტაპზე, ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.	დიახ	16.7 იხ. შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა
40.	გზშ-ის ანგარიშში აისახოს სათანადო კვლევაზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია, უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე ცხოველებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს "წითელ ნუსხით" დაცულ სახეობებზე) და ჰაბიტატებზე, მათზე შესაძლო	დიახ	16.7 15.2 15.3

	ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ამასთან, წარმოდგენილ იქნას ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები ფოტომასალასთან ერთად;		
41.	ექსპლუატაციის ეტაპზე, წყლის შესაძლო დაბინძურებით და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება მდინარის (მდ. ალაზანი) იქთიოფაუნაზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;	დიახ	15.3 16.8
42.	ბიომრავალფეროვნების კვლევების შედეგების საფუძველზე, შემუშავდეს მონიტორინგის გეგმა, სადაც აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე ზემოქმედების დაკვირვების საკითხი;	დიახ	16.7 იხ. მონიტორინგის გეგმა
43.	მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების წარმოქმნითა და მათი გარემოში გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (ნარჩენების მართვის გეგმა);	დიახ	16.9 17
44.	პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურეკონომიკურ გარემოზე. ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;	დიახ	16.13
45.	შესაძლო ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიურ ძეგლებზე. კულტურულ ფასეულობებზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გამოვლენა, აღწერა და შედეგების შესწავლა;	დიახ	16.11
46.	ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება;	დიახ	16.12
47.	მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, მათ შორის წყლის გარემოზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;	დიახ	5.1
48.	საკანალიზაციო სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;	დიახ	19
49.	საკანალიზაციო სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;	დიახ	20
50.	გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;	დიახ	21
51.	ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა. მათ შორის გამწმენდი ნაგებობის ავარიული გაჩერების შემთხვევაში მდინარის დაბინძურების პრევენციის მიზნით განსაზღვრული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია;	დიახ	22
52.	გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;	დიახ	24

53.	სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების/შენიშვნების შეფასება;	დიახ	25
54.	გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები/რეკომენდაციები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.	დიახ	27
55.	სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ გამწმენდი ნაგებობა ეწყობა სოფელ საქობოში - წყლის ჩაშვება უნდა განხორციელდეს მდ. ალაზანში. საპროექტო გადაწყვეტილების ქვეთავში (ქვეთავი 4.2.1) განმარტებულია, რომ „მთავარი გამყვანი კოლექტორის საერთო სიგრძე 11 კმ-ია, აქედან გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიამდე 5,6 კმ, გამწმენდი ნაგებობიდან მდ. ალაზანამდე (ჩაშვების ადგილი) 5,4 კმ“. სკოპინგის ანგარიშში არ არის მითითებული და დაზუსტებას საჭიროებს შპს „საქართველოს მელიორაციის“ კაპიტალში რიცხული ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხი, რომელიც გამყვანი კოლექტორით იკვეთება 3 ადგილას. მაგისტრალური არხის გარდა კოლექტორი კვეთს მის გამანაწილებელ არხს (გ-10-4) 2-ჯერ და კოლექტორს (კ-26). აღნიშნული მაგისტრალური არხის, მისი შემადგენელი ინფრასტრუქტურის და მათი საექსპლუატაციო გზების გადაკვეთები უპირობოდ უნდა შეთანხმდეს შპს „საქართველოს მელიორაციასთან“, რათა გამოირიცხოს კახეთის რეგიონის მოსახლეობისთვის მეტად მნიშვნელოვანი სამელიორაციო ინფრასტრუქტურის დაზიანება ან მისი დაზიანება საკანალიზაციო კოლექტორიდან ჩამდინარე წყლების ჩაშვებით. აქვე აღსანიშნავია, რომ სამშენებლო ბანაკის შემადგენლობის ინფრასტრუქტურის ჩამონათვალში არ არის მოხსენიებული წყალმომარაგება - გაურკვეველია როგორ მარაგდება სამშენებლო ბანაკი სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით და სად ხდება მისი ჩაშვება;	დიახ	5.2.1
56.	ვინაიდან ალაზნის ველის სამშენებლოდ განსაზღვრული მონაკვეთი წარმოადგენს არქეოლოგიურად სენსიტიურ ადგილს, სამშენებლო მიწის სამუშაოები განხორციელდეს არქეოლოგიური მეთვალყურეობის ქვეშ, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი არქეოლოგიური ობიექტების დაზიანება/განადგურება;	დიახ	არქეოლოგი ჩართული იქნება სამუშაოებში
57.	დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით;	დიახ	7
58.	ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების დროს გამწმენდის მუშაობის ეფექტურობის დასადგენად ინსტრუმენტული გაზომვების ჩატარების შესახებ ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ღონისძიებების განხორციელების დასადგენად;	დიახ	იხ. მონიტორინგის გეგმა
59.	სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პერსპექტივაში შესაძლებელია საპროექტო გამწმენდს დაემატოს დამატებითი უჯრა, რომელიც უზრუნველყოფს ქ. სიღნაღისა და ქ. წნორის გარდა მიმდებარე 17 სოფლის ჩამდინარე წყლების მიღებას და გაწმენდას. დაზუსტებას და გზმ-ის	დიახ	5.2.1

	ეტაპზე დეტალურ განმარტებას საჭიროებს ინფორმაცია გამწმენდი ნაგებობის წარმადობის შესაძლო გაზრდის/გაფართოების, მათ შორის ახალი უჯრის დამატების შესახებ;		
60.	სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის გენ-გეგმის დაბალი ხარისხი, არ იძლევა შესაბამისი ვიზუალური აღქმისა და ზოგადი ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას. აღნიშნული საკითხის გათვალისწინებით, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს მაღალი ხარისხის ფოტო მასალა;	დიახ	თან ერთვის გზშ-ის ანგარიშს
61.	გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების მართვის მართვის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ მითითებულია რომ აღნიშნული ტიპის ნარჩენები განთავსდება მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ სამშენებლო ნარჩენების სანაყარო ტერიტორიაზე, როდესაც პროექტი სიღნაღის მუნიციპალიტეტში ხორციელდება.	დიახ	დაკორექტირდა
62.	სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია - „სამშენებლო ტერიტორიებზე, მათ შორის საკანალიზაციო ქსელისა და გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შეგროვება მოხდება ბიოტუალეტების ან საასენიზაციო ორმოს საშუალებით, საიდანაც გატანილი იქნება საასენიზაციო მანქანის საშუალებით.“ მოცემული საკითხი გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ სად იგეგმება სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ტრანსპორტირება და მათი შემდგომი მართვის საკითხები;	დიახ	აღნიშნული დაზუსტდება მშენებელი კონტრაქტორის შემოსვლის შემდგომ. ამასთან საგულისხმოა, რომ სამეურნეო-ფეკალური მასების გატანა, შესაბამისი ადგილის შერჩევით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კომპეტენციას.
